

## საქართველოს კონკურენციის სააგენტო



### გზამკვლევი დოკუმენტი

---

*„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე*

---

თბილისი  
ივნისი 2018

# სარჩევი

შესავალი .....	3
I. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ელემენტები .....	4
1. ტერმინი „ეკონომიკური აგენტი“ .....	5
1.1. განმარტების პრობლემატიკა და ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა .....	5
1.2. „ეკონომიკური აგენტი“ - შემაჯამებელი განმარტება .....	11
2. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება .....	13
2.1. ხელშეკრულება .....	14
2.2. გადაწყვეტილება .....	19
2.3. შეთანხმებული ქმედება .....	22
2.4. „შუალედური“ ქმედებები .....	27
2.5. პასუხისმგებლობის ჩარჩოები .....	32
3. კონკურენციის საწინააღმდეგოობა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი .....	36
3.1. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი .....	37
3.2. კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი .....	41
II. „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების“ კატეგორიები .....	44
1. ფასებისა და სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირება .....	45
2. წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების, ინვესტიციების შეზღუდვა .....	49
3. ბაზრების/მიწოდების წყაროების გადანაწილება .....	51
4. იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება .....	53
5. გარიგების მხარისათვის გარიგების საგანთან კავშირის არ მქონე ვალდებულებების დაკისრება .....	54

## შესავალი

2014 წლის 21 მარტის საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ (შემდგომში - „კანონი“) ითვალისწინებს კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების რამდენიმე ძირითად კატეგორიას, რომელთაგან ერთ-ერთია კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებში მონაწილეობა.

კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, ხსენებულ შეთანხმებებს მიეკუთვნება ეკონომიკური აგენტების ნებისმიერი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება ან შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

კანონის მე-7 მუხლი წარმოადგენს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე მუხლის (შემდგომში - „TFEU 101-ე მუხლი“) ანალოგს. ორივე მუხლის ტექსტი საკმაოდ ლაკონურია, თუმცა ევროკავშირში უკვე წლებია ხდება TFEU 101-ე მუხლის დებულებების განმარტება ადმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საშუალებით.

წლების განმავლობაში, აღნიშნული პრაქტიკით განიმარტა მრავალი საკითხი, რომელთა დაჯგუფებაც შესაძლებელია ორ ფართო კატეგორიად. კერძოდ:

- რა ელემენტებისაგან შედგება **კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება**;
- რომელია იმ **შეთანხმებათა კატეგორიები**, რომლებიც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას, დაუშვებლობას ან/და აკრძალვას.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში (შემდგომში - „CJEU“) არსებული პრაქტიკა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული პრაქტიკით კონკრეტდება TFEU 101-ე მუხლის შინაარსი, თუმცა მისი გამოყენება თავისუფლად შეიძლება კანონის მე-7 მუხლთან მიმართებითაც.

თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, დოკუმენტში ჯერ მოკლედ და აღწერილი კანონმდებლობის განმარტების პრობლემატიკა, შემდგომ მოცემულია ევროკომისიისა და CJEU-ს რელევანტური გადაწყვეტილების შინაარსი და საბოლოოდ, გაკეთებულია შემაჯამებელი განმარტებები.

გადაწყვეტილებებს თან ახლავს ★-ით მონიშნული იმ ვებ-გვერდების მისამართები, სადაც შესაძლებელია სრული ტექსტის გაცნობა.

დოკუმენტში განხილული პრაქტიკა მხოლოდ საორიენტაციო ხასიათისაა და არ ზღუდავს კონკურენციის კანონის ადმასრულებელ ორგანოს - საქართველოს კონკურენციის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“), კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, განსხვავებულად განმარტოს ქართული კანონმდებლობა.

## I. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ელემენტები

კანონის მე-7 მუხლის მიხედვით „აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ - „შეთანხმება“), რომლის მიზანია ან ... შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა“.

განმარტების მიხედვით, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას გააჩნია შემდეგი ოთხი ძირითადი ელემენტი:



კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის, ევროკავშირის აღმასრულებელ და სასამართლო პრაქტიკაში თითოეულ ამ ელემენტს ჩამოყალიბდა საკუთარი სპეციფიკური განმარტება. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული განმარტებების ის ასპექტები, რომლებიც კანონში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა გამომდინარეობს მისი დებულებების ერთობლიობიდან და მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკისათვის.

განმარტებები დაყოფილია სამ ნაწილად, შემდეგი შინაარსით:

- **პირველი ნაწილი** - ტერმინი „ეკონომიკური აგენტი“;
- **მეორე ნაწილი** - კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება;
- **მესამე ნაწილი** - ქმედების კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. აღნიშნული ორი ელემენტი განხილულია ერთობლივად, მათი მჭირდოდ გადაჯაჭვულობიდან გამომდინარე.

# 1. ტერმინი „ეკონომიკური აგენტი“

კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეკონომიკური აგენტი არის პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა და საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე ა(ა)იპ ან სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას.



## 1.1. განმარტების პრობლემატიკა და ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

ევროკომისიისა და CJEU-ს პრაქტიკაში, ტერმინი „ეკონომიკური აგენტი“ განმარტება ორი მიმართულებით:

- **ფუნქციურად და სიტუაციის შესაბამისად:** ეკონომიკურ აგენტად ითვლება ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, თუმცა მხოლოდ ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში;
- **ე.წ. ზეგავლენის ფაქტორის გათვალისწინებით:** ეკონომიკურ აგენტად ითვლება რამდენიმე სუბიექტისგან შემდგარი ჯგუფი (ე.წ. „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი“), რომლის რომელიმე წევრიც არსებით ზეგავლენას ახდენს დანარჩენების ქმედებებზე.

ფუნქციური და სიტუაციის შესაბამისი განმარტება ზუსტად მიესადაგება კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემულ პირველ ორ ალტერნატივას. ევროკავშირის მსგავსად, საქართველოში ეკონომიკურ აგენტად ითვლება ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის მქონე პირი, მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელშიც ეს უკანასკნელი ახორციელებს ეკონომიკურ/სამეწარმეო საქმიანობას.

რაც შეეხება ე.წ. ზეგავლენის ფაქტორის გათვალისწინებით შემუშავებულ განმარტებას, ის შესაძლოა ესადაგებოდეს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული განმარტების მე-3 ალტერნატივას. თუმცა, არსადაა დაკონკრეტებული, თუ რას შეიძლება მოიცავდეს ამ ალტერნატივაში ნახსენები ფრაზა „სხვა გაერთიანება“. ასევე, ბუნდოვანია, როგორ უნდა მოხდეს სანქციის დაკისრება აღნიშნულ გაერთიანებაში შემავალი პირებისათვის.

ეს ორი პრობლემატური საკითხი ევროკავშირში დარეგულირებულია აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკით, რომლის რამდენიმე მაგალითიც მოცემულია ქვემოთ.

---

## საქმე 107/82; AEG-Telefunken v Commission

---

### ➤ ფაქტობრივი გარემოებები

AEG-Telefunken (შემდგომში - „AEG“) გერმანული კომპანიაა, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს სამომხმარებლო ელექტრონული პროდუქტების (ტელევიზორების, რადიოების, ჩამწერების და სხვ.) წარმოება და მარკეტინგი. კომპანია შესაბამის ბაზარზე საქმიანობს საკუთარი შვილობილი კომპანიების მეშვეობით. გერმანიაში, მსგავს შვილობილ კომპანიას წარმოადგენს TRF, საფრანგეთში - ATF, ხოლო ბელგიაში - ATBG.

1973 წელს, AEG-მა შეატყობინა ევროკომისიას საკუთარი სასაქონლო ნიშნით გამოშვებულ პროდუქტებთან მიმართებით დასაწერი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის შესახებ. კომისიას სისტემასთან მიმართებით შენიშვნები არ ჰქონია.

1982 წელს, AEG დაჯარიმდა TFEU 101-ე მუხლის დარღვევისთვის, რადგან მისი შვილობილი კომპანიები დისკრიმინაციულად იყენებდნენ მის მიერ დანერგილ შერჩევით სადისტრიბუციო სისტემას. AEG-მა დაჯარიმების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში. ის თვლიდა, რომ პასუხი არ უნდა ეგო საკუთარი შვილობილი კომპანიების მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევაზე.

### ➤ სამართლებრივი ანალიზი

სასამართლომ აღნიშნა, რომ შვილობილი კომპანიის დამოუკიდებელი იურიდიული ბუნება არ გამორიცხავს მისი ქმედებების დედა კომპანიის ზეგავლენით განპირობების შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც შვილობილი კომპანია დამოუკიდებლად არ წყვეტს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს შესაბამის ბაზარზე, რადგან ის მოქმედებს დედა კომპანიის ინსტრუქციების შესაბამისად.

AEG-ს სადავოდ არ გაუხდია ის, რომ მას შეეძლო საკუთარი შვილობილი კომპანიების სადისტრიბუციო და ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა. თუმცა, სასამართლომ მაინც შეაფასა, თუ რამდენად გამოიყენა მან აღნიშნული ზეგავლენა.

სასამართლოს მიხედვით, ზეგავლენის გამოყენების ფაქტი აშკარა იყო TRF-სთან მიმართებით, რადგან AEG ფლობდა მისი წილების 100%-ს. რაც შეეხება ATF-სა და ATBG-ს, მათზე არსებული ზეგავლენის გამოყენება დასტურდებოდა საქმის მასალებიდან. დოკუმენტებიდან აშკარა იყო, რომ ორივე შვილობილი კომპანია პრაქტიკაში ატარებდა დედა კომპანიის პოლიტიკას და ამის შესახებ აცნობებდა დისტრიბუტორებსაც.

### ➤ შედეგი

AEG-ს პასუხისმგებლობა დაეკისრა მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობაზე, რადგან ეს უკანასკნელნი მოკლებულნი იყვნენ მისგან დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას და პრაქტიკაში ახორციელებდნენ სწორედ მის პოლიტიკას.





➤ **ფაქტობრივი გარემოებები**

ევროკომისიამ დააჯარიმა მუყაოს ყუთების ასაწყო მასალის მწარმოებელი კომპანია Stora Kopparbergs Bergslags (შემდგომში - „Stora“) კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობისათვის. Stora ერთ-ერთი იყო 19 დამრღვევი კომპანიიდან, თუმცა ის ფლობდა ბაზარზე მოქმედ კიდევ სამ კომპანიას - Kopparfors-ს, Feldmühle-სა და CBC-ს. შესაბამისად, ევროკომისიამ Stora დამრღვევთა ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნია.

ჯარიმის გასაჩივრებისას, Stora-ს ერთ-ერთი არგუმენტი შეეხებოდა შვილობილი კომპანიების მხრიდან ჩადენილი დარღვევის გამო მისი დაჯარიმების უსამართლობას. კომპანიის პოზიციით, არ დასტურდებოდა აღნიშნულ დარღვევებში მისი მონაწილეობა.

100%-ით მის საკუთრებაში მყოფ შვილობილ კომპანია Kopparfors-თან მიმართებით, Stora აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილებაში არ იყო დასაბუთებული მისი არსებითი ზეგავლენის ფაქტი. Feldmühle-სა და CBC-სთან მიმართებით კი, Stora უთითებდა, რომ მან არაფერი იცოდა შვილობილების მიერ ჩადენილ დარღვევებზე, რადგან ორივე კომპანია მაშინ შეიძინა, როდესაც სადავო განგრძობადი ხასიათის დარღვევა უკვე დაწყებული იყო.

➤ **სამართლებრივი ანალიზი**

შვილობილ კომპანია Kopparfors-თან მიმართებით, სასამართლომ მიუთითა, რომ Stora ფლობდა აღნიშნული შვილობილი კომპანიის წილების 100%-ს, რაც იძლეოდა აღნიშნულ კომპანიის პოლიტიკაზე არსებითი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას. სასამართლოს მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ლეგიტიმური იყო იმის ვარაუდი, რომ დედა კომპანია რეალურად იყენებდა საკუთარ ზეგავლენას შვილობილი კომპანიის ქმედებების სამართავად.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ Stora-ს ჰქონდა შესაძლებლობა, მტკიცებულებებით გაებათილებინა ზემოაღნიშნული ვარაუდი, თუმცა ამ უკანასკნელს შემხვედრი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

Feldmühle-სა და CBC-სთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია დარღვევის დაწყების მომენტში Stora არ ფლობდა არც ერთ მათგანს, მაგრამ ის უკვე ფლობდა დარღვევაში მონაწილე Kopparfors-ს. შესაბამისად, ლოგიკური იყო იმის ვარაუდი, რომ მას, როგორც აღნიშნული შვილობილი კომპანიის სრულად მაკონტროლებელს, ექნებოდა ინფორმაცია როგორც განსახილველი დარღვევის, ისე მისი ყველა მონაწილის შესახებ.

➤ **შედეგი**

Stora-ს არგუმენტები მისი შვილობილი კომპანიების მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამო მისთვის პასუხისმგებლობის დაუკისრებლობასთან დაკავშირებით უარყოფილ იქნა, რადგან ეს უკანასკნელნი სრულად ექვემდებარებოდნენ დედა კომპანიას.



---

## სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები

---

### ➤ საქმე C-73/95P; *Viho Europe BV v Commission*

- საბაზრო კურსის/პოლიტიკის დამოუკიდებლად განსაზღვრის შეუძლებლობა, როგორც დედა კომპანიის არსებითი ზეგავლენის მტკიცებულება

აღნიშულ საქმეში, Viho Europe BV-მ (შემდგომში - „Viho“) ევროკომისიას მიაწოდა ინფორმაცია ბაზარზე არსებული დისტრიბუციის სისტემის შესახებ, რომელიც არსებობდა კომპანია Parker Pen Ltd-სა (შემდგომში - „PPL“) და მის შვილობილ კომპანიებს შორის. აღნიშნული დისტრიბუციის სისტემის მიხედვით, თითოეული შვილობილი კომპანია პროდუქტებს ყიდდა მხოლოდ საკუთარი დაფუნების ქვეყანაში. Viho-ს მტკიცებით, ეს ეწინააღმდეგებოდა 101-ე მუხლს.

ჯერ კომისიამ, ხოლო შემდგომ სასამართლომ აღნიშნა, რომ PPL და მისი შვილობილი კომპანიები წარმოადგენდნენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს, რომელშიც შვილობილ კომპანიებს არ ჰქონდათ საკუთარი საბაზრო კურსის განსაზღვრის დამოუკიდებლობა. ისინი მხოლოდ დედა კომპანიის ინსტრუქციებს მიჰყვებოდნენ. შესაბამისად, მათ შორის არსებული ნებისმიერი შეთანხმება ვერ დარეგულირდებოდა 101-ე მუხლით.

★ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61995CJ0073>

### ➤ საქმე 170/83; *Hydrotherm v Compact*

- „ეკონომიკური აგენტი“, როგორც ეკონომიკური კონსტრუქცია, რომელიც შეიძლება ერთი ან რამდენიმე ფიზიკური/იურიდიული პირისგან შედგებოდეს

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ მართლმსაჯულების სასამართლოსგან მოითხოვა ტერმინი „ეკონომიკური აგენტი“ განმარტება. საკითხი ეხებოდა სამი პირის (ერთი ფიზიკური და ორი იურიდიული) მიერ საერთო კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, მაშინ როდესაც აღნიშნული ფიზიკური პირი ფლობდა ორივე ხსენებულ იურიდიულ პირს. სასამართლოს ეთხოვა, განემარტა, იყო თუ არა ამ სამი პირის სახით სახეზე ერთი ეკონომიკური აგენტი.

სასამართლომ განმარტა, რომ ტერმინი „ეკონომიკური აგენტი“ ეწოდება ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს, რომელიც მონაწილეობას იღებს კონკრეტულ გარიგებაში, მაშინაც კი თუ სამართლებრივად ეს ეკონომიკური აგენტი რამდენიმე ფიზიკური თუ იურიდიული პირისგან შედგება. შესაბამისად, კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებისათვის, ზემოაღნიშნული სამი პირის ერთობა მიჩნეულ იქნა ერთ ეკონომიკურ აგენტად.

★ <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-170/83>



➤ *გაერთიანებული საქმეები; T-68/89, T-77/89 და T-78/89 SIV and others v Commission*

- *გარიგების მხარეებს შორის კონკურენციის შესაძლებლობა, როგორც მათი დამოუკიდებელ ეკონომიკური აგენტებად მიჩნევის წინაპირობა*

აღნიშნული გადაწყვეტილების 357-ე პარაგრაფში, სასამართლომ მიუთითა, რომ 101-ე მუხლის გამოყენების წინაპირობაა კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების არსებობა. მსგავსი ხელშეკრულება კი შეიძლება დაიდოს მხოლოდ ისეთ პირებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ ერთმანეთისთვის კონკურენციის გაწევა. შესაბამისად, ეს მუხლი ვერ შეეხება ერთიან ეკონომიკურ სუბიექტში შემავალ (ე.ი. არაკონკურენტ) ფიზიკურ/იურიდიულ პირებს.



<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=102693&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=765525>

➤ *საქმე C-97/08; Akzo Nobel and others v Commission*

- *დედა კომპანიის პასუხისმგებლობა შვილობილი კომპანიის კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებებზე*
- *ზეგავლენის მოხდენის გაბათილებადი პრეზუმფცია*

ევროკომისიამ, ქოლინის ქლორიდის (მარილი) ბაზარზე წარმოებული მოკვლევის შედეგად, გამოავლინა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობდა კომპანია Akzo Nobel NV-ს (შემდგომში - „Akzo“) რამდენიმე 100%-იანი შვილობილი კომპანია. კომისიამ შვილობილი კომპანიების გამო დააჯარიმა Akzo. ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ უშუალოდ თვითონ არ მიუღია მონაწილეობა ხსენებულ შეთანხმებაში.

სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც დედა კომპანია 100%-ით ფლობს შვილობილ კომპანიებს, წარმოიშობა არსებითი ზეგავლენის მოხდენის გაბათილებადი პრეზუმფცია, რომლის გაუბათილებლობის შემთხვევაში დედა კომპანია პასუხისმგებელი იქნება შვილობილი კომპანიების ქმედებებზე. ეს ეხება ისეთ სიტუაციებსაც, როდესაც დედა კომპანიას უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა კონკურენციის შემზღვეველ ქმედებაში.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-97/08>

➤ *საქმე T-234/07; Koninklijke Grolsch v Commission*

➤ *საქმე T-185/06; L’Air Liquide and others v Commission*

- *ზეგავლენის მოხდენის პრეზუმფციის გაბათილების საპროცესო უფლება*

აღნიშნული საქმეები ეხებოდა დედა კომპანიების, Glosch-ისა და L’Air Liquide-ს პასუხისმგებლობის საკითხს მათი შვილობილი კომპანიების მიერ, ერთ შემთხვევაში ლუდის გამომხდის, ხოლო მეორე შემთხვევაში წყალბადის ზეჟანგის ბაზარზე არსებულ შეთანხმებაში

მონაწილეობისთვის. ორივე დედა კომპანია 100%-ით ფლობდა საკუთარ შვილობილს. შესაბამისად, მოქმედებდა არსებითი ზეგავლენის მოხდენის გაბათილებადი პრეზუმფცია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ Glosch-ს არ მიეცა აღნიშნული პრეზუმფციის გაბათილების საშუალება, რადგან პრეზუმფციის არსებობა ცალსახად არ ფიქსირდებოდა კომისიის კორესპონდენციაში. კომისიას ასევე არ უმსჯელია L’Air Liquide-ს მიერ წარმოდგენილ, პრეზუმფციის გამაბათილებელ არგუმენტებზე. შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებები პრეზუმფციის დადასტურების ნაწილში გაბათილდა პროცედურული საფუძვლით.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-234/07>

<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-185/06>

---

## *საქმე T-76/08; EI du Pont de Nemours v Commission*

---

### *➤ ფაქტობრივი გარემოებები*

ევროკომისიამ დაადგინა, რომ ქლოროპრენის რეზინის ბაზარზე მოქმედი კომპანია DuPont Dow Elastomers LLC (შემდგომში - „DDE“) მონაწილეობდა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში. აღნიშნული კომპანია წარმოადგენდა ორი დედა კომპანიის - El du Pont de Nemours--ისა (შემდგომში - “El du Pont”) და Dow Chemical Company-ს (შემდგომში - “DDC”) მიერ დაარსებულ ერთობლივ საწარმოს.

კომისიამ ასევე დაადგინა, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის მომენტში, ორივე დედა კომპანია ფლობდა 50%-იან წილს ერთობლივ საწარმოში. შედეგად, ორივე მათგანს დაეკისრა პასუხისმგებლობა DDE-ს მიერ კონკურენციის წესების დარღვევისათვის.

El du Pont-მა და DDC-მ გაასაჩივრეს კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება, რადგან მათი მოსაზრებით, კომისიის დასკვნაში არ საბუთდებოდა მათ მიერ DDE-ზე არსებითი ზეგავლენის მოხდენის ფაქტი. შესაბამისად, ეს უკანასკნელი წარმოადგენდა დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტს და დედა კომპანიებს არ უნდა ეგოთ პასუხი მის მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის.

### *➤ სამართლებრივი ანალიზი*

სასამართლომ იმსჯელა, თუ რა მტკიცებულებებით შეიძლება დადასტურებულიყო დედა კომპანიების მიერ შვილობილი კომპანიის მოქმედებებზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა. აღინიშნა, რომ შვილობილისთვის ინსტრუქციების მიცემა, ისევე როგორც მისი ფასწარმოქმნისა და წარმოება-გაყიდვების პოლიტიკის დადგენაში მონაწილეობის უფლება წარმოადგენდა დედა კომპანიის არსებითი ზეგავლენის პირდაპირ მტკიცებულებას.

თუმცა, სასამართლომ მიუთითა, რომ არსებითი ზეგავლენის დადასტურება შეიძლებოდა არაპირდაპირი მტკიცებულებებითაც, როგორებიცაა ზეგავლენა შვილობილის ბიზნეს სტრატეგიაზე და გეგმებზე, მის საოპერაციო პოლიტიკაზე, ინვესტიციებზე და ა.შ.

განსახილველ საქმეში, სწორედ არაპირდაპირი მტკიცებულებები გახდა სასამართლოს შეფასების საგანი. სასამართლომ მიუთითა, რომ რადგან ორივე მშობელი კომპანია თანაბრად ფლობდა ერთობლივი საწარმო DDE-ს წილებს, მათ ასევე თანაბრად შეეძლოთ DDE-ს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოხდენა, მმართველების მოხსნა-დანიშვნა, კაპიტალის განკარგვაზე ზემოქმედება და სხვ. შესაბამისად, არსებითი ზეგავლენა სახეზე იყო.

### ➤ *შედეგი*

დედა კომპანიების მიერ არსებითი ზეგავლენის მოხდენის ფაქტიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი და ძალაში დატოვა ჯარიმა დედა კომპანიებისათვის.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-76/08&language=EN>

## 1.2. „ეკონომიკური აგენტი“ - შემაჯამებელი განმარტება

ქართული კონკურენციის კანონმდებლობა არ იცნობს „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნებას. თუმცა, კანონში განმარტებულია ტერმინი „ურთიერთდამოკიდებული პირები“. ესაა პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება იმოქმედოს მათი/მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

კანონის მე-11<sup>2</sup> მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის კონცენტრაცია, ამავე კანონის მიზნებისათვის, არ ითვლება საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციად და არ ექვემდებარება შეტყობინებას. აღნიშნული დებულებიდანაც აშკარაა, რომ შესაძლებელია, ურთიერთდამოკიდებული პირები, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, განხილულ იქნენ ერთიან ეკონომიკურ აგენტად.

ევროკავშირის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, „ერთიან ეკონომიკურ აგენტთან“ მიმართებით იკვეთება რამდენიმე გარემოება, კერძოდ:

- *ესაა ერთი ან რამდენიმე ფიზიკური/იურიდიული პირის იმგვარი ერთობა, რომელიც იძლევა ერთმანეთის გადაწყვეტილებებზე არსებითი ზეგავლენის მოხდენის საშუალებას;* აღნიშნული პირები (მაგ. ერთი ჰოლდინგის წევრები, დედა და შვილობილი კომპანიები, ერთობლივი საწარმოს დამაარსებლები და ერთობლივი საწარმო) კონკურენციის მიზნებისათვის განიხილებიან ერთ ეკონომიკურ აგენტად.
- *არსებითი ზეგავლენის დადასტურებისთვის საჭიროა* სახეზე იყოს არსებითი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა ან/და აღნიშნული ზეგავლენის რეალურად გამოყენების ფაქტი. ზეგავლენის მოხდენის ფაქტი შესაძლოა დადასტურდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მტკიცებულებებით.

- როდესაც დედა კომპანია 100%-ით ფლობს შვილობილ კომპანიას/კომპანიებს, სახეზეა არსებითი ზეგავლენის მოხდენის პრეზუმფცია; პრეზუმფცია გაბათილებადია. მტკიცების ტვირთი ეკონომიკურ აგენტზეა, რომელსაც უნდა მიეცეს შესაბამისი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა.
- 100%-ზე ნაკლები წილის ფლობისას, არსებითი ზეგავლენა დგინდება სხვა გარემოებების ანალიზის საფუძველზე; ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება, მაგალითად დედა კომპანიების მიერ ერთობლივი საწარმოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების კონტროლის, საოპერაციო გეგმებზე გავლენის მოხდენის, მმართველების მოხსნა-დანიშვნისა და ა.შ. შესაძლებლობა.
- პირების ერთიან ეკონომიკურ აგენტად მიჩნევას აქვს შესაბამისი შედეგები; როგორც წესი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დარღვევა უდგინდება იმ პირს, რომლის არსებითი ზეგავლენითაც მოხდა შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, მაშინაც კი, როდესაც ხსენებული პირი შესაბამის ბაზარზე არ ფუნქციონირებს.

აღნიშნული გარემოებები სიტყვა-სიტყვით არაა ასახული საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში. თუმცა, კანონის მე-7 მუხლისა და ტერმინების - „ეკონომიკური აგენტისა“ და „ურთიერთდამოკიდებული პირების“ შინაარსიდან გამომდინარე, თავისუფლად შესაძლებელი მათი ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად ინტერპრეტაცია.

*ზემოთქმულიდან გამომდინარე, კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის, ევროკავშირის პრაქტიკაში არსებული ტერმინი „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი“ ლოგიკურად წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული პირების ერთობას.*

*შესაბამისად, „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი“ შეგვიძლია მივიჩნიოთ ეკონომიკური აგენტის ერთ-ერთ სახედ - „სხვა გაერთიანებად“, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას.*

ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირში კონკრეტული ფიზიკური/იურიდიული პირის „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტისადმი“ მიკუთვნებადობა და არსებითი ზეგავლენის მოხდენის ფაქტი დგინდება ყოველ კონკრეტულ საქმეში ცალ-ცალკე.

## 2. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება

კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებამ შეიძლება მიიღოს ხელშეკრულების, გადაწყვეტილების (TFEU 101-ე მუხლის მიხედვით - ეკონომიკური აგენტების გაერთიანებების მიერ მიღებული გადაწყვეტილების) ან შეთანხმებული ქმედების სახე.

ევროკავშირის პრაქტიკაში, აღნიშნული განმარტება დაკონკრეტებულია რამდენიმე მიმართულებით:



დოკუმენტის მომდევნო 5 ქვეთავში მოცემულია გადაწყვეტილებები ევროკავშირის პრაქტიკიდან, რომელთა საფუძველზეც მოხდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების განმარტება.

პირველი სამი ქვეთავი ეთმობა ტერმინებს „ხელშეკრულება“, „გადაწყვეტილება“ და „შეთანხმებული ქმედება“, მეოთხე ქვეთავში გადმოცემულია ე.წ. „შუალედური“ სიტუაციების კლასიფიკაციის მეთოდი, ხოლო მეხუთე ქვეთავში ახსნილია, თუ რა ფარგლებში ეკისრება პასუხისმგებლობა ეკონომიკურ აგენტს TFEU 101-ე მუხლის (კანონის მე-7 მუხლის ანალოგის) დარღვევაზე.

## 2.1. ხელშეკრულება

### ა. განმარტების პრობლემატიკა და ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

TFEU 101-ე მუხლი ტერმინი „ხელშეკრულების“ ნაცვლად იყენებს ტერმინს „შეთანხმება“. ამით, მინიშნება კეთდება იმაზე, რომ კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის, განსახილველი ტერმინი გაცილებით ფართოა, ვიდრე ეროვნული სამართლით დარეგულირებული ხელშეკრულების ტიპები და შესაძლოა მოიცავდეს ისეთ ურთიერთობებსაც, რომლებსაც ცალსახად ხელშეკრულებას ვერ დავარქმევთ.

ევროკავშირის პრაქტიკაში, ეს განსხვავება მნიშვნელოვანია იმ ურთიერთობათა კატეგორიების დადგენისას, რომლებიც მიეკუთვნება „შეთანხმებებს“. აღნიშნული კატეგორიების მოქცევა თავისუფლად შეიძლება კანონის მე-7 მუხლის მოქმედების ფარგლებშიც, იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებისათვის, ტერმინი „ხელშეკრულებას“ ფართოდ განვმარტავთ.

თუმცა, აღნიშნული ფართო განმარტება რისკებსაც შეიცავს. მაგალითად, ევროკავშირში ტერმინი „შეთანხმების“ განმარტებისას წამოიჭრა რამდენიმე პრობლემატური საკითხი, რომელთა განმარტებაც მოხდა აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე.

#### **კონკრეტულად, საჭირო გახდა შემდეგი საკითხების განმარტება:**

- რა სახის ურთიერთობა ითვლება „შეთანხმებად“?
- რა მომენტიდან ითვლება მიღწეულად „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება“?
- რა კრიტერიუმებით იმიჯნება „შეთანხმება“ სხვა სახის ურთიერთობებისგან?

ქვემოთ მოცემულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით CJEU-ს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

---

#### *საქმე 107/82; AEG-Telefunken v Commission*

---

##### ➤ *ფაქტობრივი გარემოებები*

გერმანული კომპანია AEG დაჯარიმდა TFEU 101-ე მუხლის დარღვევისთვის, რადგან დისკრიმინაციულად იყენებდა შერჩევით სადისტრიბუციო სისტემას. AEG-მა დაჯარიმების



შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივრა, რადგან თვლიდა, რომ დისკრიმინაციის პროცესში იგი ერთპიროვნულად მოქმედებდა და შესაბამისად, TFEU 101-ე მუხლის მიზნებისათვის, სახეზე არ იყო „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება/ხელშეკრულება“.

### ➤ *სამართლებრივი ანალიზი*

სასამართლოს მითითებით, შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის გამოყენება გამართლებულია, მაღალი ხარისხისა და მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიურ პროდუქტებთან მიმართებით, რადგან ამ უკანასკნელებს ესაჭიროებათ პროფესიონალი გამყიდველები. მსგავსი გამყიდველების შერჩევისა და ხარისხის შენარჩუნების პროცესში, შესაძლებელია თავისთავად შეიზღუდოს ფასისმიერი კონკურენციაც.

თუმცა, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ხსენებული სისტემის გამოყენება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ დისტრიბუტორების შერჩევა ხდება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც უკავშირდება ამ უკანასკნელთა ტექნიკურ კვალიფიკაციასა და სავაჭრო ფართს, იმ პირობით, რომ კრიტერიუმები იდენტურია ყველა დისტრიბუტორისათვის და ადგილი არ აქვს დისკრიმინაციას.

განსახილველ საქმეში, სასამართლომ გამოავლინა ცალსახა დისკრიმინაციის ფაქტი. კერძოდ, მართალია AEG-ს ჩამოყალიბებული ჰქონდა შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში მიღებისთვის აუცილებელი თვისობრივი სახის ობიექტური კრიტერიუმები, მაგრამ არ იღებდა აღნიშნული პირობების დამაკმაყოფილებელ ისეთ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც უარს ამბობდნენ მისი ზედმეტად შემზღუდველი საფასო პოლიტიკის გატარებაზე.

სასამართლომ საქმის მასალებიდან გამოარკვია ისიც, რომ მსგავსი მიდგომა განპირობებული იყო AEG-სა და მის დისტრიბუტორებს შორის არსებული (ნაგულისხმევი ან აშკარად გამოხატული) შეთანხმებებით. კერძოდ, შესამისი ხელშეკრულების გაფორმებისას, ყოველი დისტრიბუტორისთვის აშკარა იყო, რომ უნდა მიჰყოლოდა AEG-ის საფასო პოლიტიკას, რაც გულისხმობდა „ურჩი“ დისტრიბუტორების ქსელიდან გამორიცხვასაც.

### ➤ *შედეგი*

AEG-ის დისტრიბუტორების მიერ ამ უკანასკნელის მიერ შემოთავაზებულ საფასო პოლიტიკაზე დათანხმება (რაც მოიცავდა „ურჩი“ დისტრიბუტორების ქსელიდან გამოთიშვას), ჩაითვალა შეთანხმებად TFEU 101-ე მუხლის მიზნებისათვის.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61982CJ0107>

---

## *სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები*

---

- *გაერთიანებული საქმეები 25/84 & 26/84; Ford Werke AG, Ford Europe Inc. v Commission*
  - *მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის მიმდინარე ურთიერთობის ცვლილება, როგორც „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება“*

1982 წელს, ფორდმა საკუთარ გერმანელ დისტრიბუტორს აუკრძალა მარჯვენასაჭიანი მანქანების გაყიდვა. ამით კომპანიამ შესაბამისი შეკვეთები გადაისროლა ბრიტანულ ბაზარზე, სადაც მსგავსი მანქანები გერმანიასთან შედარებით გაცილებით ძვირად ფასობდა.

აკრძალვა შედიოდა ფორდის ზოგად სადისტრიბუციო პოლიტიკაში, რომლის თავდაპირველი ვარიანტი შეთანხმებული იყო მწარმოებელსა და დისტრიბუტორებს შორის, შესაბამის შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემაში დაშვების შეთანხმებით. აღნიშნული შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა ფორდის მხრიდან მისი პირობების ცალმხრივად შეცვლის უფლებამოსილებას, რაზეც დისტრიბუტორებს თანხმობა ჰქონდათ ნათქვამი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს საქმე ჰგავდა *107/82, Aeg-Telefunken v Commission საქმეს*, რადგან ორივე მათგანი ეხებოდა კონკურენციის შეზღუდვას მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის მიმდინარე ურთიერთობის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ განსახილველ საქმეში ფორდის აკრძალვით მისივე გერმანულმა დისტრიბუტორმა იზარალა, მაშინ როდესაც AEG-ის გადაწყვეტილება სასარგებლო იყო ყველა მისი არსებული დისტრიბუტორისთვის. თუმცა, საქმის საბოლოო შედეგზე ამას ზეგავლენა არ მოუხდენია - სასამართლომ დაადგინა რომ სახეზე იყო კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება TFEU 101-ე მუხლის მიზნებისათვის.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61984CJ0025>

➤ *საქმე 41/69; ACF Chemiefarma NV v Commission*

- *TFEU 101-ე მუხლის გავრცელება ჯენტლმენურ ვარიეტებზე“; ტერმინი „შეთანხმების“ ფარგლები*

1960 წელს, მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის ბაზარზე მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შორის შედგა ჯენტლმენური შეთანხმება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ შესაბამისი პროდუქტის ფასისა და კვოტების განსაზღვრაზე. ევროკომისიამ აღნიშნული TFEU 101-ე მუხლის დარღვევად მიიჩნია და მხარეები დააჯარიმა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში.

სასამართლომ მიუთითა, რომ „შეთანხმებად“ ითვლება მხარეთა მიერ გამოხატული ნებისმიერი ერთობლივი განზრახვა, კონკრეტული საბაზრო ქცევის განხორციელების თაობაზე. შესაბამისად, ჯენტლმენური შეთანხმებაც „შეთანხმებაა“ TFEU 101-ე მუხლის მიზნებისათვის. შედეგად, ჯენტლმენური შეთანხმების საფუძველზე კონკურენციის შეზღუდვა ჩაითვლება ამავე მუხლის დარღვევად.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61969CJ0041>

➤ *საქმე C-338/00P; Volkswagen v Commission*

- *დისტრიბუციის შეთანხმების გაფორმების შემდგომ განხორციელებული ქმედებები, როგორც „შეთანხმება“ TFEU 101-ე მუხლის მიზნებისთვის*

ფოლკსვაგენმა საკუთარ იტალიელ დისტრიბუტორს აუკრძალა მანქანების პარალელური იმპორტზე გატანა გერმანიაში, იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს შეენარჩუნებინა ტერიტორიაზე მაღალი ფასები. დისტრიბუტორი დათანხმდა აკრძალვას, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი აკრძალვის დაწესება გათვალისწინებული არ იყო დისტრიბუციის შეთანხმებით. ევროკომისიამ მიიჩნია, რომ ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში დაირღვა TFEU 101-ე მუხლი.

ფოლკსვაგენმა გაასაჩივრა კომისიის გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ დისტრიბუციის შეთანხმება არ ეწინააღმდეგებოდა TFEU 101-ე მუხლს, ხოლო პარალელური იმპორტის აკრძალვა არ იყო „შეთანხმება“ აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის. სასამართლომ მიუთითა, რომ „შეთანხმება“ (ნებათა თანხვედრა) შედგა მაშინ, როდესაც დისტრიბუტორი დათანხმდა ფოლკსვაგენის კანონსაწინააღმდეგო აკრძალვას და პრაქტიკაში გაატარა ის.



<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=48608&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=324743>

#### ➤ საქმე C-74/04; *Volkswagen AG v Commission*

- დისტრიბუციის შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ქმედებები, როგორც „შეთანხმება“ TFEU 101-ე მუხლის მიზნებისთვის

საქმე ეხებოდა ფოლკსვაგენსა და მის დისტრიბუტორებს შორის გაფორმებულ ექსკლუზიური ხელშეკრულებების იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც, მწარმოებელს შეეძლო გაეცა რეკომენდაციები სარეალიზაციო ფასთან და ფასდაკლებებთან დაკავშირებით.

აღნიშნული დებულების მოშველიებით, 1996-98 წლებში, ფოლკსვაგენმა გერმანელ დისტრიბუტორებს მოსთხოვა მის მიერ გამოშვებულ „Volkswagen Passat“-ის მოდელზე მკაცრი საფასო დისციპლინის დაცვა. ევროკომისიამ აღნიშნული მოთხოვნა TFEU 101-ე მუხლის დარღვევად ჩათვალა და მიუთითა, რომ „შეთანხმება“ სახეზე იყო, რადგან დისტრიბუტორებს წინასწარ ჰქონდათ თანხმობა გაცხადებული ფოლსვაგენის ინსტრუქციების დაცვაზე.

ფოლსვაგენის საჩივრის განხილვისას, სასამართლომ განმარტა, რომ კონკურენციის დარღვევა შეიძლება კონკურენციის წესების შესაბამისი ხელშეკრულების (ერთი შეხედვით ნეიტრალური) დებულებების საფუძველზე გატარებული პრაქტიკული ღონისძიებებითაც.

ამავდროულად, სასამართლომ მიუთითა, რომ ხსენებული დარღვევის დასაბუთებისას, მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა ევროკომისიას, ხოლო დასაბუთება უნდა მომხდარიყო კონკრეტული საქმის გარემოებების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე.

განსახილველ საქმეში, დისტრიბუტორებს მართლაც ჰქონდათ მწარმოებლის ინსტრუქციების შესრულების ვალდებულება. თუმცა, სარეალიზაციო ფასთან მიმართებით, ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხოლოდ რეკომენდაციების გაცემას, რომლებიც დისტრიბუტორებს პრაქტიკაში არ გაუტარებიათ. შესაბამისად, „შეთანხმება“ სახეზე არ იყო.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62004CJ0074>

## ბ. ხელშეკრულება - შემაჯამებელი განმარტება

ევროკავშირის პრაქტიკაში, კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის, ტერმინი „შეთანხმება“ მოიცავს ურთიერთობათა ფართო სპექტრს. აქ შედის როგორც მხარეთა შორის ეროვნული სამართლის წესების დაცვით გაფორმებული ხელშეკრულებები, ისე ჯენტლმენური თუ ნებისმიერი სხვა სახის შეთანხმება, თუნდაც ეს უკანასკნელი დადებული არ იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით.

*მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ითვლება „შეთანხმებად“, თუ არსებობს ნებათა თანხვედრა - მხარეთა ერთობლივი განზრახვა კონკრეტული საბაზრო ქცევის განხორციელების თაობაზე.*

*აღნიშნულ განზრახვაზე მხარის დათანხმება შეიძლება იყოს აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი. თუმცა, ეს გავლენას არ ახდენს ურთიერთობის „შეთანხმებად“ მიჩნევაზე.*

კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება მიღწეულად ითვლება ხსენებულ ნებათა თანხვედრის მომენტიდან. ეს შეიძლება მოხდეს უკვე არსებული კანონიერი ურთიერთობის (მაგალითად, დისტრიბუციის ხელშეკრულების) ფარგლებშიც, თუ ერთი მხარე შეასრულებს მეორე მხარის კანონსაწინააღმდეგო დავალებას, ან არ გააპროტესტებს ამ უკანასკნელის მიერ გატარებულ კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკას.

საბოლოოდ, სწორედ ნებათა თანხვედრის ფაქტორიდან გამომდინარე ხდება „შეთანხმების“ გამიჯვნა მხარეთა მიერ ერთპიროვნულად განხორციელებული ქმედებებისაგან. კერძოდ, თუ საქმის გარემოებებიდან აშკარაა, რომ ერთი მხარის კონკურენციის საწინააღმდეგო განზრახვა მეორე მხარის მიერ გაზიარებული არაა (მაგალითად, დანერგილი არაა პრაქტიკაში), მაშინ „შეთანხმება“ შემდგარად არ ითვლება.

ყველა ზემოხსენებული ელემენტის მისადაგება თავისუფლადაა შესაძლებელი კანონის მე-7 მუხლში მოცემულ ტერმინ „ხელშეკრულებასთან“, თუკი ეს უკანასკნელი საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებისათვის განიმარტება, როგორც ორი ან რამდენიმე მხარის ნებათა თანხვედრა კონკრეტული საბაზრო ქცევის განხორციელების თაობაზე.

## 2.2. გადაწყვეტილება

### ა. განმარტების პრობლემატიკა და ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

TFEU 101-ე მუხლის მიხედვით, კონკურენციის საწინააღმდეგოდ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური აგენტების ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუ მისი მიზანია ან შედეგია ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა. აღნიშნული დებულების პრაქტიკაში სწორად გამოყენების მიზნით, ევროკავშირის პრაქტიკაში საჭირო გახდა იმის განმარტება, თუ რა იგულისხმება ტერმინებში „ეკონომიკური აგენტების ასოციაცია“ და „გადაწყვეტილება“.

მართალია, კანონის მე-7 მუხლი საუბრობს ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე (ნაცვლად ეკონომიკური აგენტების ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა), მაგრამ თუ კანონს სწორად განვმარტავთ, მე-7 მუხლში ნახსენებ „გადაწყვეტილებებში“ მოექცევა ეკონომიკური აგენტების მიერ როგორც უშუალოდ, ისე არაპირდაპირ (ასოციაციის მეშვეობით) მიღებული გადაწყვეტილებები.

ორივე ზემოხსენებული ტერმინის განმარტებისას, მთავარ პრობლემას წარმოადგენდა მათი ფარგლების სწორად განსაზღვრა. ამაზე იყო დამოკიდებული, გავრცელდებოდა თუ არა TFEU 101-ე მუხლი კონკრეტული სუბიექტების კონკრეტულ ქმედებებზე.

**ამ მიმართულებით, პრაქტიკამ მოითხოვა ორი ძირითადი საკითხის გადაწყვეტა, კერძოდ:**

- რამდენად წარმოადგენდნენ ასოციაციებს მოგებაზე არაორიენტირებული პირები?
- რამდენად ფართოდ/ვიწროდ უნდა განმარტებულიყო ტერმინი „გადაწყვეტილება“?

აღნიშნული პრობლემატური საკითხების ევროკავშირისეული გადაწყვეტა მოცემულია ქვემოთ.

---

*გაერთიანებული საქმეები 96-102, 104, 105, 108 & 110/82; IAZ International Belgium NV and others v Commission*

---

#### ➤ ფაქტობრივი გარემოებები

ევროკომისიამ TFEU 101-ე მუხლის დარღვევად ჩათვალა ორ ასოციაციას შორის არსებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბელგიის წყლის მიმწოდებელთა ასოციაციამ



(შემდგომში - “ANSEAU”) აიღო ვალდებულება, საკუთარი კლიენტებისთვის დაემონტაჟებინა მხოლოდ ისეთი სარეცხი მანქანები, რომლებსაც ჰქონდათ მწარმოებელთა ასოციაციასთან შეთანხმებული სპეციალური იარაღი.

კომისიამ აღნიშნა, რომ მსგავსი მიდგომით ბაზარი გადაიკეტა როგორც იმ კომპანიებისთვის, რომლებიც არ იყვნენ მწარმოებელთა ასოციაციის წევრები, ასევე არამწარმოებელი კომპანიებისათვის, რომლებიც ახორციელებდნენ პარალელურ იმპორტს.

ANSEAU ერთ-ერთი იყო, ვინც გაასაჩივრა კომისიის გადაწყვეტილება. ორგანიზაცია თვლიდა, რომ მასზე არ უნდა გავრცელებულიყო TFEU 101-ე მუხლი ორი ძირითადი მიზეზით: 1) ის წარმოადგენდა არასამეწარმეო (მოგებაზე არაორიენტირებულ) ასოციაციას; 2) მის მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილება იყო მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის და არ ავალდებულებდა ასოციაციის წევრებს ამ უკანასკნელის პრაქტიკაში გატარებას.

### ➤ *სამართლებრივი ანალიზი*

ANSEAU-ს პირველ არგუმენტთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა საკუთარ წარსულ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც TFEU 101-ე მუხლი ვრცელდება მოგებაზე არაორიენტირებული ასოციაციის გადაწყვეტილებაზე იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს იმ (კონკურენციის საწინააღმდეგო) შედეგის შენარჩუნებას, რომლის მიღწევაც იგეგმება მისი ან მისი წევრების ქმედებების შედეგად.

აღნიშნული განმარტება გაკეთდა გაერთიანებულ საქმეებზე **209-215 & 218/78 Van Landerwyck and others v Commission**, სადაც სასამართლომ TFEU 101-ე მუხლის მოქმედება გაავრცელა სიგარეტის მწარმოებელთა (მოგებაზე არაორიენტირებულ) ასოციაციაზე.

ANSEAU-ს მეორე არგუმენტის საპასუხოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ასოციაციის გადაწყვეტილებას შესაძლებელია ჰქონოდა რეკომენდაციის ფორმაც, რა შემთხვევაშიც ყურადღება ექცეოდა ასოციაციის წევრების მიერ ამ რეკომენდაციის გაზიარების/პრაქტიკაში გატარების ხარისხს. რეკომენდაცია ექცევა TFEU 101-ე მუხლის რეგულირების სფეროში, თუ სახეზეა მისი მასიური გაზიარება და შედეგად იზღუდება საბაზრო კონკურენცია.

### ➤ *შედეგი*

მოცემულ საქმეში, ასოციაციის რეკომენდაცია მისმა თითქმის ყველა წევრმა გაიზიარა. შესაბამისად, განსახილველი რეკომენდაცია „გადაწყვეტილებად“ ჩაითვალა.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61982CJ0096>

---

## *სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები*

---

### ➤ *საქმე 8/72; Cementhandelaren v Commission*

- *ასოციაციის არასავალდებულო რეკომენდაცია მიზნობრივ ფასთან დაკავშირებით, როგორც გადაწყვეტილების ერთ-ერთი სახე*



აღნიშნულ საქმეში, ევროკომისიამ TFEU 101-ე მუხლის დარღვევა დაუდგინა Vereeniging van Cementhandelaren-ს (ცემენტის დისტრიბუტორთა ასოციაცია, შემდგომში - „VCH“) - ჰოლანდიაში დაფუძნებული ასოციაციას, რომელიც საკუთარ წევრებს რეკომენდაციით სთავაზობდა ცემენტის მიზნობრივ ფასს. VCH-მ გაასაჩივრა კომისიის გადაწყვეტილება, რადგან თვლიდა, რომ მიზნობრივი ფასის შეთავაზება ვერ შეზღუდავდა კონკურენციას.

VCH-მ ხაზი გაუსვა ორ ფაქტორს: 1) ასოციაციის წევრები სადავო რეკომენდაციას პრაქტიკაში იშვიათად იყენებდნენ; 2) რეკომენდაცია მხოლოდ ფასის გამოთვლის საფუძველი იყო - კომპანიებს კვლავ რჩებოდათ ფასის დამოუკიდებლად დადგენის თავისუფლება.

შედარებისთვის, სასამართლომ მიუთითა, რომ მიზნობრივი ფასის დადგენაც კი აძლევდა საშუალებას ასოციაციის წევრებს, დამაჯერებლად ევარაუდათ, თუ როგორი იქნებოდა მათი კონკურენტების საფასო პოლიტიკა. სასამართლომ სადავო რეკომენდაცია განიხილა ასოციაციის სხვა დოკუმენტებთან ერთობლიობაშიც და დაასკვნა, რომ სახეზე იყო ასოციაციის წევრებს შორის კონკურენციის შემზღვეველი კარგად ორგანიზებული სისტემა.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/SV/ALL/?uri=CELEX:61972CJ0008>

➤ *საქმე 45/85; Verband der Sachversicherer v Commission*

- *მხოკავი გადაწყვეტილების მიღებაზე არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული რეკომენდაცია, როგორც გადაწყვეტილების ერთ-ერთი სახე*

ევროკომისიამ დაადგინა, რომ სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი კომპანიების ასოციაციამ Verband der Sachversicherer-მა (შემდგომში - „Verband“) დაარღვია TFEU 101-ე მუხლი არასავალდებულო რეკომენდაციის გაცემით, რომელიც მიზნად ისახავდა, რომ სადაზღვევო კომპანიებს ხანძრის საწინააღმდეგო დაზღვევის პრემია გაეზარდათ კოლექტიურად, ერთბაშად და კონკრეტული მოჭრილი თანხით.

აღნიშნულის გასაჩივრებისას, Verband-მა მიუთითა, რომ რეკომენდაცია, გაცემული ასოციაციის, როგორც მხოკავი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების არმქონე სუბიექტის მიერ, არ წარმოადგენდა „გადაწყვეტილებას“ TFEU 101-ე მუხლის მიზნებისათვის.

პასუხად, სასამართლომ განმარტა, რომ ასოციაციის ქმედების „გადაწყვეტილებად“ მიჩნევისათვის მთავარი იყო მისი შინაარსი და არა ფორმა. ამ შემთხვევაში, მართალია, საქმე ეხებოდა ასოციაციის „არასავალდებულო რეკომენდაციას“, მაგრამ მისი შინაარსიდან და წევრების მიერ მისი პრაქტიკაში სწრაფად დანერგვის ფაქტიდან გამომდინარე, შინაარსობრივად აშკარა გადაწყვეტილება იყო სახეზე. შედეგად, Verband-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61985CJ0045>

## ბ. გადაწყვეტილება - შემაჯამებელი განმარტება

ევროკავშირის პრაქტიკიდან აშკარაა, რომ ეკონომიკური აგენტების ასოციაციის არამომგებიან/არასამეწარმეო ბუნებას მნიშვნელობა არ აქვს ამ უკანასკნელის TFEU 101-ე მუხლის სუბიექტად მიჩნევისათვის. მთავარია, ასოციაციის გადაწყვეტილება ემსახურებოდეს მის წევრებს შორის ისეთი საბაზრო პოლიტიკის გატარებას, რომლის მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა.

რაც შეეხება ტერმინს „გადაწყვეტილება“, პრაქტიკაში ის უნდა განიმარტოს არა ფორმალურად, არამედ შინაარსობრივად.

*შინაარსობრივი განმარტება გულისხმობს, რომ არ აქვს მნიშვნელობა გადაწყვეტილების სახელს, მისი მიმღები სუბიექტის სტატუსს ასოციაციის შიგნით და მისი ბოჭვის ხარისხს.*

*კონკრეტული ქმედების გადაწყვეტილებად მიჩნევისათვის, მთავარია, საქმის გარემოებებიდან იკვეთებოდეს ასოციაციის წევრების მიერ მისი პრაქტიკაში გატარების ფაქტი.*

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქმის გარემოებების შესაბამისად, „გადაწყვეტილებად“ შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ასოციაციის არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაციებიც კი, რომელიც მიღებულია ასოციაციის შიგნით არსებული ისეთი სუბიექტის მიერ, რომელსაც არ გააჩნია მბოჭავი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება.

## 2.3. შეთანხმებული ქმედება

### ა. განმარტების პრობლემატიკა და ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

შეთანხმებული ქმედება კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ყველაზე ძნელად დასადასტურებელი სახეა, რადგან მისი არსებობის დადასტურება ძლიერ არის დამოკიდებული იმ შესაბამისი ბაზრის სტრუქტურასა და სპეციფიკაზე, რომელთან მიმართებითაც არსებობს შეთანხმებული ქმედების არსებობის ეჭვი.

**პრაქტიკაში, შეთანხმებული ქმედების დადგენის პროცესში, ყურადღება მახვილდება შემდეგზე:**

- რამდენად წარმოადგენს შეთანხმებული ქმედება მხარეთა საბაზრო ქცევის ერთადერთ ახსნას?
- რა ალტერნატიული ფაქტორები შეიძლება განაპირობებდნენ შეთანხმებული ქმედების მსგავს საბაზრო ქცევას?
- როგორ ნაწილდება მტკიცების ტვირთი შეთანხმებული ქმედების არსებობის ფაქტის დადასტურების პროცესში?

ქვემოთ მოცემულია სასამართლო გადაწყვეტილებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

---

*საქმე 48/69; Imperial Chemical Industries (ICI) v Commission*

---

➤ **ფაქტობრივი გარემოებები**

1964 წლის იანვრიდან 1967 წლის ოქტომბრის ჩათვლით, სახამებლის მწარმოებელმა კომპანიებმა ევროპულ ბაზარზე საკუთარი პროდუქტების ფასი სამჯერ გაზარდეს. სამივე შემთხვევაში, ფასის ზრდა მოხდა ერთდროულად, ერთი და იმავე ოდენობით, რასაც წინ უსწრებდა რიგი მწარმოებლების მხრიდან ამ ზრდის დაანონსება. ევროკომისიამ მწარმოებლები დააჯარიმა TFEU 101-ე მუხლის დარღვევის - შეთანხმებული ქმედების განხორციელებისათვის.

ICI-მ, როგორც ერთ-ერთმა მწარმოებელმა კომპანიამ, გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება. გასაჩივრების მიზეზებს შორის, ის უთითებდა, რომ კომისიამ არასწორად დაადგინა მწარმოებლებს შორის შეთანხმებული ქმედების არსებობა.

➤ **სამართლებრივი ანალიზი**

სასამართლომ თავიდანვე აღნიშნა, რომ შეთანხმებული ქმედებისას, მართალია სახეზე არაა შეთანხმება/ხელშეკრულება, თუმცა იკვეთება მხარეთა თანამშრომლობა საბაზრო კონკურენციასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით. შესაბამისად, შეთანხმებული ქმედების არსებობა დგინდება მხარეთა ქცევაზე დაკვირვების შედეგად, კონკრეტული ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ბაზარზე პარალელური - თანმხვედრი ქცევა (parallel behavior) თავისთავად არ გულისხმობს შეთანხმებული ქმედების არსებობას. თუმცა, პარალელური - თანმხვედრი ქცევა შეთანხმებული ქმედების მნიშვნელოვანი

დამამტკიცებელი საბუთი ხდება, თუ ის იწვევს კონკურენციის პირობების იმგვარ ცვლილებას, როგორც არაა დამახასიათებელი ჩვეულებრივი საბაზრო გარემოსთვის.

თავის მხრივ, „ჩვეულებრივი საბაზრო გარემოს“ განსასაზღვრად და იქ მოქმედი კონკურენციის პირობების დასადგენად, მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორცაა პროდუქტის ბუნება, გეოგრაფიული ბაზრის სიდიდე, ბაზრის მოცულობა, ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და ზომა, წარმოების სპეციფიკა, ფასწარმოქმნის პირობების, მოთხოვნის სიდიდე და სხვა მსგავსი ფაქტორები.

სასამართლომ შეაფასა ფასთა ერთდროული ზრდის ფაქტი სახამებლის ბაზრის თავისებურებების ჭრილში. დადგინდა, რომ პროდუქტის დიფერენციაციის, ფასწარმოქმნის პირობებში განსხვავების, მუდმივად ზრდადი მოთხოვნისა და გეოგრაფიული ბაზრის სემგენტირების (5 განსხვავებული ეროვნული ბაზარი) პირობებში, ფასების მსგავსი ზრდა შესაძლებელი იყო მხოლოდ მწარმოებელთა თანამშრომლობის პირობებში.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სახამებლის ბაზრის თავისებურებებიდან გამომდინარე, ფასთა ზრდის წინასწარმა დაანონსებამ კონკურენტებს მისცა ერთმანეთის საბაზრო ქცევაზე დაკვირვებისა და ადაპტირების საშუალება. შედეგად, მათ აღარ წარმოეშვათ ბაზარზე საკუთარი ფასის დამოუკიდებლად დადგენასთან დაკავშირებული რისკები. შესაბამისად, ბაზარზე დროებით მოისპო ფასისმიერი კონკურენცია.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტული ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, მხარეთა ქმედებები (ფასების ერთდროულად, ერთი და იმავე ოდენობით ზრდა და აღნიშნული ზრდის დაანონსება) წარმოადგენდა შეთანხმებულ ქმედებას.

### ➤ შედეგი

სასამართლომ ძალაში დატოვა კომისიის გადაწყვეტილება TFEU 101-ე მუხლის დარღვევის დადგენასთან დაკავშირებით, შესაბამისი ჯარიმებითურთ.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61969CJ0048>

---

## *გაერთიანებული საქმეები 89, 104, 114, 116, 117, 125, 129/85; A. Ahlström Osakeyhtiö and others v Commission*

---

ევროკომისიამ გამოძიება ჩაატარა ცელულოზის (wood pulp) ბაზარზე, რომელიც ხასიათდებოდა გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით, ოლიგოპოლიური ბუნებით (როგორც მიმწოდებლების, ისე მომხმარებლების მხრიდან), კლიენტთა ლოიალურობით კონკრეტული მიმწოდებლების მიმართ, ხანგრძლივი დროით დადებული მიწოდების ხელშეკრულებებითა და ყველა მიმწოდებლის მიერ ფასების წინასწარი ყოველკვარტალური გამოქვეყნებით.

გამოძიების შედეგად დაჯარიმდნენ პროდუქტის მწარმოებლები და მათი ასოციაციები, რადგან კომისიამ ჩათვალა, რომ სახეზე იყო შეთანხმებული ქმედება TFEU 101-ე მუხლის მიზნებისათვის. დაჯარიმებულმა სუბიექტებმა აღნიშნული ასპექტი გაასაჩივრეს.

სასამართლომ პირველ რიგში განმარტა, რომ TFEU 101-ე მუხლი ეკონომიკურ აგენტებს არ უკრძალავდა ურთიერთშესაბამის ქცევას, თუ ეს კონკურენტების ქცევაზე ბუნებრივი საპასუხო რეაქცია იყო. აღნიშნა, რომ მხარეთა ქცევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა შეთანხმებული ქმედების დამადასტურებელ საბუთად, თუ არ იარსებებდა აღნიშნული ქცევის ალტერნატიული ახსნა, გარდა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობისა.

ბაზრის ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებების შესწავლის საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეთა ქცევას ჰქონდა რამდენიმე ალტერნატიული ახსნა და შესაბამისად, შეთანხმებული ქმედების არსებობა არ დგინდებოდა.

ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე (განსხვავება წინასწარ გამოქვეყნებულ და ტრანზაქციის ფასებს შორის, გამოქვეყნების დადებითი მხარეები) სასამართლომ დარღვევად არ ჩათვალა ფასების წინასწარი გამოქვეყნება. ამით დადასტურდა საქმეში **46/69 ICI v Commission** გამოტანილი დასკვნა: ნებისმიერი საბაზრო ქცევა (ფასების დაანონსების ჩათვლით) უნდა გაანალიზდეს ბაზრის თავისებურებების კრილში. შეთანხმებული ქმედების არსებობა დგინდება მხოლოდ ამ თავისებურებების გათვალისწინებით.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61985CJ0089>

---

## სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები

---

- *გაერთიანებული საქმეები 40, 48, 50, 54-56, 111, 113, 114/73; Suiker Unie and others v Commission*
  - *სახელმწიფოს მიერ ბაზრის რეგულირება, როგორც შეთანხმებული ქმედების არსებობის ერთ-ერთი საწინააღმდეგო არგუმენტი*

ევროკომისიამ TFEU 101-ე მუხლის დარღვევა დაუდგინა შაქრის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს. კომისიის მიხედვით, მათ განახორციელეს შეთანხმებული ქმედება, რამაც გამოიწვია შესაბამის ბაზარზე არსებული ფასების ერთმანეთთან გათანაბრება.

სასამართლო განხილვისას, ეკონომიკურმა აგენტებმა წარმოადგინეს ფასთა გათანაბრების ალტერნატიული ახსნა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შესაბამის ბაზარზე სახელმწიფო ჩარევა (მაგ. შაქრის ფასების დადგენა) გამოირიცხავდა ფასისმიერ კონკურენციას.

სასამართლომ ხსენებული არგუმენტი შეაფასა რამდენიმე ეროვნულ ბაზართან მიმართებით. იქ, სადაც ეს არგუმენტი სწორი აღმოჩნდა (მაგალითად, იტალიის ბაზარზე), ეკონომიკური აგენტები გამართლდნენ. ამავდროულად, იმ ბაზრებზე, სადაც სახელმწიფო რეგულაციები ფასისმიერი კონკურენციისათვის საკმარის ადგილს ტოვებდა (მაგალითად, ჰოლანდიის ბაზარზე), შეთანხმებული ქმედება დადასტურებულად გამოცხადდა.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=40/73>



➤ *საქმე C-199/92P; Hüls AG v Commission*

- *შეთანხმებული ქმედების ელემენტები; მტკიცების ტვირთის გადანაწილება შეთანხმებული ქმედების დადასტურების პროცესში*

ევროკომისიამ პოლიპროპელენის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი Hüls AG (შემდგომში - „Hüls“) დააჯარიმა შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობისათვის. აღნიშნული დარღვევის დადგენას საფუძვლად დაედო Hüls-ის მიერ პოლიპროპელენის მწარმოებელთა შეხვედრებში რეგულარული მონაწილეობის ფაქტი, რასაც ეს უკანასკნელი არასაკმარის მტკიცებულებად მიიჩნევდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში.

სასამართლომ, პირველ რიგში, ჩამოთვალა შეთანხმებული ქმედების სამი ელემენტი: 1) ეკონომიკური აგენტების მიერ საკუთარი ქმედებების შეთანხმება; 2) ხსენებული შეთანხმების შესაბამისი საბაზრო ქცევა; 3) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შეთანხმებულ ქმედებასა და ქცევას შორის. ისიც აღინიშნა, რომ ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ ჰქონდა, გამოიწვია თუ არა შეთანხმებულმა ქმედებამ კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი.

სასამართლომ მიუთითა, რომ ქმედებების შეთანხმების დადასტურებაზე მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მარეგულირებელს (ევროკომისიას). ამ უკანასკნელს არგუმენტირებულად უნდა აეხსნა, თუ რა გარემოებებიდან იკვეთებოდა ეკონომიკური აგენტის მიერ შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობის ფაქტი და საკუთარი ახსნა გაემყარებინა შესაბამისი მტკიცებულებებით.

ამავდროულად, თუ სახეზე იყო ქმედებების შეთანხმების დამადასტურებელი ფაქტი (ამ შემთხვევაში, შეხვედრებში მონაწილეობა) და პარალელურად, ეკონომიკური აგენტი კვლავ მოქმედებდა შესაბამის ბაზარზე, წარმოიშვებოდა მისი მხრიდან შეთანხმებული ქმედების პრაქტიკაში განხორციელების პრეზუმფცია, რომლის გაბათილების ტვირთიც ეკისრებოდა თავად ეკონომიკურ აგენტს.

Hüls-ის შემთხვევაში, სახეზე იყო ზემოხსენებულ შეხვედრებში მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამავდროულად, კომპანია აქტიურად მოქმედებდა პოლიპროპელენის ბაზარზე. შესაბამისად, სწორედ მას ეკისრებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ ეს უკანასკნელი მონაწილეობას არ იღებდა შეთანხმებულ ქმედებაში. რადგან კომპანიამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, დარღვევის დადგენის ფაქტი ძალაში დარჩა.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-199/92>



## ბ. შეთანხმებული ქმედება - შემაჯამებელი განმარტება

პრაქტიკაში, შეთანხმებული ქმედება სახეზეა მაშინ, როდესაც მხარეები შეთანხმების მიუღწევლად ახდენენ საკუთარი საბაზრო ქცევის ერთმანეთისათვის შეწყობას და ამით იმცირებენ კონკურენციასთან დაკავშირებულ რისკებს. ამავდროულად, მხარეთა მიერ მსგავსი/იდენტური საბაზრო ქცევა ყოველთვის არ გულისხმობს მათი მხრიდან შეთანხმებული ქმედების განხორციელებას.

*შეთანხმებული ქმედების არსებობის ფაქტის დასადგენად, საჭიროა მხარეთა ქმედებების გაანალიზება კონკრეტული ბაზრის სპეციფიკის კრილში.*

*მხედველობაშია მისაღები როგორც ბაზრის სტრუქტურა, პროდუქტის სპეციფიკა, მოთხოვნის სიდიდე და სხვა მსგავსი ფაქტორები, ისე ბაზარზე სახელმწიფო ჩარევის დონე.*

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვა მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, შეთანხმებული ქმედება დადგენილად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ ეს უკანასკნელი ბაზარზე შექმნილი სიტუაციის ერთადერთ ახსნას წარმოადგენს. ალტერნატივების არსებობის შემთხვევაში, მარეგულირებელს ეკისრება შეთანხმებული ქმედების არსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი.

მარეგულირებელს ასევე ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ შეთანხმებულ ქმედებაში სავარაუდოდ მონაწილე კონკრეტული ეკონომიკური აგენტი ნამდვილად იყო ჩართული საბაზრო ქცევის შეთანხმების პროცესში. თუმცა, თუ ეს ფაქტი დასტურდება და პარალელურად, აღნიშნული ეკონომიკური აგენტი ბაზრის მონაწილეა, ამ უკანასკნელზე გადადის შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობის ფაქტის გაბათილების მტკიცების ტვირთი.

## 2.4. „შუალედური“ ქმედებები

### ა. პრობლემატიკა და ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

ევროკავშირის პრაქტიკაში, ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკურენციის შემზღვეველი ქმედების მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობა წლები გრძელდება ან/და კომპლექსური ხასიათისაა. შესაბამისად, ასეთი დარღვევის გარკვეული ნაწილი შეიცავს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ელემენტებს, ხოლო სხვა ნაწილი ჰგავს შეთანხმებულ ქმედებას.

აღნიშნული საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სანქციების შეფარდების ეტაპზე, რადგან ერთი მხრივ, თუ ვერ ხდება ქმედების TFEU 101-ე მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე დარღვევად კლასიფიკაცია, მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, ხოლო მეორე მხრივ, იმის მიხედვით, სახეზე ერთი კომპლექსური დარღვევაა თუ რამდენიმე მცირე მათგანი, შესაძლოა განისაზღვროს განსხვავებული ჯარიმა.

### **პრაქტიკაში, მსგავსი სიტუაციებისას მოითხოვება ორი გარემოების დადგენა:**

- როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მართალია საერთო დარღვევის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ შეიცავს როგორც შეთანხმების, ისე შეთანხმებულ ქმედების ელემენტებს?
- სად გადის ზღვარი ზემოაღნიშნული ქმედებების ერთიან დარღვევად და რამდენიმე განსხვავებულ დარღვევად კვალიფიკაციას შორის?

ჩამოთვლილი ორი გარემოების დადგენის სტანდარტი მოცემულია შემდგომ გადაწყვეტილებებში:

---

### *გაერთიანებული საქმეები T- 305-7, 313-318, 325, 328-9, 335/94; Limburgse Vinyl Maatschappij NV and others v Commission*

---

#### ➤ **ფაქტობრივი გარემოებები**

ევროკომისიამ პოლივინილის ქლორიდის მწარმოებლები დააჯარიმა TFEU 101-ე მუხლის დარღვევისათვის. გადაწყვეტილებაში, კომისია უთითებდა, რომ აღნიშნული მწარმოებლები ხანგრძლივი დროის (რამდენიმე წლის) განმავლობაში პრაქტიკაში ნერგავდნენ „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას ან/და შეთანხმებულ ქმედებას“. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში.

სხვა საკითხებს შორის, მომჩივანები უთითებდნენ, რომ კომისიამ არასწორად მიუთითა მათი ქცევის „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებად ან/და შეთანხმებულ ქმედებად“ დაკვალიფიცირების შესახებ. კომპანიების მოსაზრებით, მარეგულირებელს უნდა დაედგინა ან კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობა ან შეთანხმებული ქმედების განხორციელების ფაქტი, ერთი და იგივე ქმედების ორივე მხრივ კვალიფიკაციის მაგივრად.

#### ➤ **სამართლებრივი ანალიზი**

სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტული დარღვევა შეიძლება შეიცავდეს როგორც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების, ისე შეთანხმებული ქმედების ელემენტებს. შესაბამისად, როდესაც გარკვეული რთული და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული დარღვევა შეიცავს ორივე მათგანის ელემენტებს, კომისიას არ ეკისრება დარღვევის კონკრეტულად „შეთანხმებად“ ან „შეთანხმებულ ქმედებად“ კვალიფიცირების ვალდებულება.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, დარღვევის „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებად ან/და შეთანხმებულ ქმედებად“ კვალიფიცირება ასევე არ გულისხმობს, რომ კომისიას ორმაგი მტკიცების ტვირთი ეკისრება. თუ ეს უკანასკნელი დარღვევის კონკრეტულ მონაკვეთებში დაადასტურებს შეთანხმების, ხოლო დანარჩენ მონაკვეთებში - შეთანხმებული ქმედების არსებობას, TFEU 101-ე მუხლის დარღვევა მთლიანობაში დადგენილად ჩაითვლება.

### ➤ *შედეგი*

სასამართლომ დაადგინა, რომ კომისიას უფლება ჰქონდა, მიეჩნია დარღვევა „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებად ან/და შეთანხმებულ ქმედებად“, თუ ეს უკანასკნელი შეიცავდა ორივე ზემოაღნიშნული ქმედების ელემენტებს.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-305/94&language=en>

---

## *გაერთიანებული საქმეები T-101/05 & T-111/05; BASF AG and UCB SA v Commission*

---

### ➤ *ფაქტობრივი გარემოებები*

ევროკომისიამ დააჯარიმა ქლორინის ქლორიდის ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტები TFEU 101-ე მუხლის დარღვევისთვის, რაც გამოიხატა შესაბამის ბაზარზე კონკურენციის საწინააღმდეგო კომპლექსურ შეთანხმებასა და შეთანხმებული ქმედებების ერთობლიობაში. კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული შეთანხმება და შეთანხმებული ქმედება წარმოადგენდნენ ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის საერთო გეგმის ნაწილს.

ჯარიმის გასაჩივრების ერთ-ერთ მოტივს წარმოადგენდა მხარეთა არგუმენტი, რომ კომისიამ დარღვევის დადგენისას ერთობლივად განიხილა ორი გეორგრაფიული ბაზარი - ევროპული და გლობალური. ეკონომიკური აგენტები განმარტავდნენ, რომ დარღვევა ცალ-ცალკე უნდა დადგენილიყო თითოეული მათგანისთვის (მათ ეს აწყობდათ, რადგან გლობალურ ბაზართან მიმართებით კომისიას გაშვებული ჰქონდა ხანდაზმულობის ვადა).

### ➤ *სამართლებრივი ანალიზი*

სასამართლომ განმარტა, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებისა და შეთანხმებული ქმედებების ერთობლიობა შესაძლოა მიჩნეულიყო ერთიან დარღვევად, მაშინ

როცა ამგვარი ქმედებები შეადგენდნენ შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის საერთო გეგმის ნაწილს. ამავდროულად, აღინიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო „შესაბამისი ბაზრის“ (მათ შორის, გეოგრაფიული ბაზრის) სწორად განსაზღვრა.

როგორც ევროპულ, ისე გლობალურ ბაზარზე, ცალ-ცალკე მართლაც იკვეთებოდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისა და შეთანხმებული ქმედებების ერთობლიობის არსებობის ფაქტი თუმცა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ( განსხვავება დროში, მონაწილეთა წრეებსა და დარღვევის მიზნებში), სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზე არ იყო ერთიანი დარღვევა ხსენებული ორი გეოგრაფიული ბაზრისათვის.

### ➤ შედეგი

სასამართლომ დაადგინა, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებისა და შეთანხმებული ქმედებების ერთობლიობა სახეზე იყო, თუმცა ორი განსხვავებული გეოგრაფიული ბაზრისათვის. შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილება გაუქმდა.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-101/05>

---

## სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები

---

### ➤ საქმე C-49/92P; *Commission v Anic Rartecipazioni SpA*

- ტერმინების - „შეთანხმებისა“ და „შეთანხმებული ქმედების“ ჩანაცვლებადობა

საქმე ეხებოდა კვლავაც პოლიპროპილენის ბაზარზე ევროკომისიის მიერ დადგენილ დარღვევებს. კერძოდ, TFEU 101-ე მუხლის დარღვევის დადგენისას კომისიამ აღნიშნა რომ სახეზე იყო „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება და შეთანხმებული ქმედება“. გადაწყვეტილების ერთ-ერთმა ადრესატმა, Anic Rartecipazioni SpA-მ (შემდგომში - „Anic“) სასამართლოში აღნიშნა, რომ კომისიას დარღვევა უნდა მოეთავსებინა ამ ორიდან ერთ-ერთ კატეგორიაში.

სასამართლომ განმარტა, რომ შეთანხმება და შეთანხმებული ქმედება დარღვევის განსხვავებული, მაგრამ არაურთიერთგამომრიცხავი სახეებია. ერთი და იგივე დარღვევა შეიძლება შეიცავდეს ორივე მათგანის ელემენტებს. დარღვევის კომისიისეული კვალიფიკაცია უბრალოდ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დარღვევის კონკრეტული ერთ-ერთი ან ორივე სახის ჩადენის მიუხედავად, კონკურენციის შემზღუდველი ქმედებით ირღვევა TFEU 101-ე მუხლი.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-49/92>

➤ ევროკომისიის საქმე IV/37.614/F3; PO/Interbrew and Alken-Maes

- დარღვევა, როგორც „შეთანხმების“ და „შეთანხმებული ქმედების“ ერთობლიობა

აღნიშნული საქმე ეხებოდა TFEU 101-ე მუხლის დარღვევას ბელგიის ლუდის ბაზარზე. ეს ერთიანი ხანგრძლივი დარღვევა შეიცავდა როგორც შეთანხმების, ისე შეთანხმებული ქმედების ელემენტებს და კომისიამაც დარღვევა შესაბამისად დააკვალიფიცირა.

კომისიამ მიუთითა, რომ საქმის გარემოებების მიხედვით, ტერმინების „შეთანხმების“ და „შეთანხმებული ქმედების“ ფარგლები იცვლება და შეიძლება კვეთდეს კიდევ ერთმანეთს. შესაბამისად, ზოგჯერ შეუძლებელია ერთი დარღვევის ფარგლებში მათი ერთმანეთისგან განსხვავება. თუ სახეზეა ერთი მიზნით ჩადენილი ხანგრძლივი დარღვევა, ის შეიძლება ერთდროულად გამოიხატოს როგორც შეთანხმებაში, ისე შეთანხმებულ ქმედებაში.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32003D0569&from=EN>

### ბ. “შუალედური” ქმედებები - შემაჯამებელი განმარტება

კონკურენციის შემზღვეველ ქმედებას შეიძლება გააჩნდეს როგორც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების, ისე შეთანხმებული ქმედების ელემენტები. ეს ფაქტი პრობლემას არ წარმოადგენს ხსენებული ქმედების ერთ დარღვევად დაკვალიფიცირების საკითხში, თუ შეთანხმება და შეთანხმებული ქმედება წარმოადგენენ მხარეთა შორის არსებული ხანგრძლივი, საერთო მიზნის გარშემო აწყობილი ურთიერთობის ნაწილებს ან ეტაპებს.

*ხშირად ქმედების სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია იმის დადგენა, თუ სად მთავრდება „შეთანხმება“ და სად იწყება „შეთანხმებული ქმედება“.*

*ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია ქმედების „შეთანხმებად ან/და შეთანხმებულ ქმედებად“ კვალიფიკაცია, თუ სახეზეა დარღვევის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები.*

შეთანხმებისა და შეთანხმებული ქმედების ერთიან დარღვევად კვალიფიცირების საკითხი წყდება ყოველ კონკრეტულ საქმეზე დამოუკიდებლად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

## 2.5. პასუხისმგებლობის ჩარჩოები

### ა. პრობლემატიკა და ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

კონკურენციის სამართალშიც, სამართლის სხვა სფეროების მსგავსად, მოქმედებს ზოგადი პრინციპი - პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ის მონაწილეობდა კონკრეტულ სამართალდარღვევაში. თუმცა, აღნიშნული პრინციპის პრაქტიკაში გატარებისას, წარმოიშობა პასუხისმგებლობის ათვლის წერტილებთან და სიმძიმესთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი, რომელიც განმარტებას საჭიროებს.

#### **ძირითადი პრობლემატური საკითხები შემდეგია:**

- ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა დარღვევაში მონაწილეობისათვის?
- როგორ განისაზღვრება პასუხისმგებლობის სიმძიმე?
- როგორ უნდა მოხდეს პასუხისმგებლობის დაკისრება რამდენიმე ელემენტისგან შემდგარი დარღვევის შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ აგენტს მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ მათ ნაწილში?
- რა მომენტიდან წყდება პასუხისმგებლობა?

აღნიშნულ შეკითხვებს ევროკომისიამ და CJEU-მ პასუხი გასცეს ქვემოთ მოცემულ საქმეებში.

---

### *გაერთიანებული საქმეები C-204, 205, 211, 213, 217, 219/00P; Aalborg Portland A/S and others v Commission*

---

#### ➤ **ფაქტობრივი გარემოებები**

ევროკომისიამ, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებისა და შეთანხმებული ქმედებებისგან შემდგარ დარღვევაში მონაწილეობის გამო, TFEU 101-ე მუხლის დარღვევა დაუდგინა ევროპაში ცემენტის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებსა და მათ ასოციაციებს. შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, მხარეები უთითებდნენ, რომ კომისიამ არასწორად დააკისრა მათ პასუხისმგებლობა.

ეკონომიკურ აგენტებს მოჰყავდათ შემდეგი არგუმენტები: 1) კონკურენციის შეზღუდვის მიზნით გამართულ შეხვედრებში მონაწილეობის მიუხედავად, მათ აშკარად არასოდეს მიუციათ ხმა TFEU 101-ე მუხლის დარღვევი ქმედებებისათვის; 2) უსამართლო იყო მათი



დაჯარიმება დარღვევაში მონაწილეობის გამო, მაშინ როდესაც არ არსებობდა დარღვევის პრაქტიკაში გატარების პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

### ➤ სამართლებრივი ანალიზი

პირველ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა შემდეგი: კომისიას ევალებოდა მხოლოდ კონკურენციის შეზღუდვის მიზნით გამართულ შეხვედრებში მხარეთა მონაწილეობის ფაქტის დადასტურება. ამის შემდგომ, მტკიცების ტვირთი გადადიოდა ეკონომიკურ აგენტებზე - მათ უნდა დაესაბუთებინათ, რომ ემიჯნებოდნენ აღნიშნულ შეხვედრებზე მიღებულ კონკურენციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს და რომ შეხვედრებში მონაწილეობისას დანარჩენ მონაწილეებს განუმარტეს მონაწილეობის საკუთარი მოტივაცია, რომელიც არ გულისხმობდა კონკურენციის შეზღუდვაში მონაწილეობას.

სასამართლომ ზემოთ აღწერილ ქმედებას „საჯარო გამოიჯვნა“ (public distancing) უწოდა და აღნიშნა, რომ თუ კონკრეტული აგენტი კონკურენციის შეზღუდვის მიზნით გამართულ შეხვედრაში მონაწილეობისას საჯაროდ არ გაემიჯნებოდა შეხვედრაზე განხილულ/შეთანხმებულ ქმედებებს, მას დუმილი აღნიშნული ქმედებების განხორციელებაზე ლატენტურ თანხმობად ჩაეთვლებოდა.

ანალოგიურად დასაბუთა სასამართლომ ეკონომიკური აგენტების პასუხისმგებლობის საკითხი დარღვევაში მონაწილეობის კუთხით, მაშინ როდესაც არ არსებობდა დარღვევის ქმედების განხორციელებაში მონაწილეობის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებები.

სასამართლომ განმარტა, რომ მსგავს შემთხვევაში კომისიას, დარღვევაში მონაწილეობის დასადასტურებლად უნდა დაესაბუთებინა სამი გარემოება: 1) ის, რომ ეკონომიკური აგენტი საკუთარი ქცევით აპირებდა დარღვევის მონაწილეთა საერთო მიზნების განხორციელების ხელშეწყობას; 2) მან იცოდა (ან უნდა სცოდნოდა) დადგენილი ან პრაქტიკაში გატარებული კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ; 3) ის მზად იყო რისკის გასაწევად.

გადაწყვეტილებაში მიეთითა ისიც, რომ დარღვევაში მონაწილეობის დადგენის პროცესში, მნიშვნელობა არ ჰქონდა დარღვევის ყველა ელემენტში მონაწილეობის მიუღებლობას, ან დარღვევაში მცირე როლის ქონას. სამაგიეროდ, ეს აისახებოდა ჯარიმის ოდენობაზე.

საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც ეკონომიკური აგენტი არაპირდაპირ ეთანხმება კონკურენციის შეზღუდვას, არ ახორციელებს საჯარო გამოიჯვნას და არ ატყობინებს დარღვევის შესახებ შესაბამის ორგანოებს, ის ხელს უწყობს დარღვევის გაგრძელებას და ხელს უშლის მის აღმოჩენას. ეს დარღვევაში პასიური მონაწილეობაა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად ითვლება.

### ➤ შედეგი

მიუხედავად კონკურენციის შემზღუდველ ქმედებებში აქტიური მონაწილეობის მიუღებლობისა, ეკონომიკურ აგენტებს მაინც დაეკისრათ პასუხისმგებლობა, შესაბამისი ქმედებებისგან საჯარო გამოიჯვნის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო.



---

## სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები

---

➤ **საქმე T-325/01; Daimler Chrysler AG v Commission**

- *საჯარო გამიჯვნა კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებისგან*

აღნიშნული საქმე ავტომობილების მწარმოებელი კომპანია Mercedes-Benz-ისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ სამგზავრო ავტომობილების ბაზარზე მიღწეულ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებს ეხებოდა. დაჯარიმების ერთ-ერთი საფუძველი გახდა Mercedes-Benz-ის ბელგიური შვილობილი კომპანიის წარმომადგენელთა მონაწილეობა მერსედესის ავტომანქანების ბელგიელი გამყიდველების ასოციაციის შეხვედრაში.

კომისიამ დაადგინა, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე განსახილველ თემებს შორის იყო ფასების ფიქსირება და ფასდაკლებების საწინააღმდეგო ზომების გატარება. Mercedes-Benz-ის ბელგიური შვილობილი კომპანია საჯაროდ არ გამიჯვნა შეხვედრაზე გამოთქმულ მოსაზრებებს, რითაც დანარჩენებს მისცა იმის ფიქრის საბაზი, რომ ის ეთანხმებოდა კონკურენციის შეზღუდვას. აღნიშნული ჩაითვალა TFEU 101-ე მუხლის დარღვევად.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62001TJ0325>

➤ **საქმე T-99/04; AC-Treuhand AG v Commission**

- *პასუხისმგებლობა და შესაბამის ბაზარზე მონაწილეობა; პასუხისმგებლობა მთლიანი დარღვევისათვის, დარღვევაში ნაწილობრივ მონაწილეობისას*

ევროკომისიამ TFEU 101-ე მუხლის დარღვევა დაუდგინა საკონსულტაციო ფირმა AC-Treuhand AG-ს ორგანული პეროქსიდების ბაზარზე კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობისათვის. კომპანია თავად არ ფუნქციონირებდა აღნიშნულ ბაზარზე, თუმცა ხელს უწყობდა შეთანხმებას, ორგანიზებას უწევდა შეკრებებს და ფარავდა დარღვევის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

საქმეში განიმარტა, რომ პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელი არ იყო იმ ბაზარზე ფუნქციონირება, რომელზეც იგეგმებოდა შეზღუდვა. მაგალითად, ვერტიკალური შეთანხმებისას, მწარმოებელს შეეძლო შეეზღუდა კონკურენცია დისტრიბუციის ბაზარზე.

აღინიშნა ისიც, რომ ზოგიერთი ეკონომიკური აგენტი შესაძლებელია სხვებზე ნაკლებად მონაწილეობდეს დარღვევაში, თუმცა მხოლოდ აღნიშნული ფაქტი არ გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას მთლიანი დარღვევისათვის და მათ შორის, სხვა ეკონომიკური აგენტების მიერ დარღვევის იმპლემენტაციისათვის, თუ დარღვევაში ნაკლებად მონაწილე აგენტი იზიარებს ამ უკანასკნელების კონკურენციის საწინააღმდეგო სულისკვეთებას.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ AC-Treuhand AG არ იყო იმ შესაბამისი ბაზრის მონაწილე, რომელზეც განხორციელდა კონკურენციის შეზღუდვა, მას პასუხისმგებლობა დაეკისრა, როგორც შეზღუდვის ხელშემწყობ ეკონომიკურ აგენტს.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-99/04>

---

*გაერთიანებული საქმეები T- 305-7, 313-318, 325, 328-9, 335/94; Limburgse Vinyl Maatschappij NV and others v Commission*

---

➤ **ფაქტობრივი გარემოებები**

ევროკომისიამ დააჯარიმა პოლივინილის ქლორიდის მწარმოებლები TFEU 101-ე მუხლის დარღვევისათვის. გადაწყვეტილება ეხებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმპლემენტირებული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებისა და შეთანხმებული ქმედებების ერთობლიობას, თუმცა არსებული საქმის მასალებით ვერ დგინდებოდა ყველა მწარმოებლის მიერ დარღვევის ყველა ელემენტში მონაწილეობის ფაქტი. კომისიამ მწარმოებლებს დააკისრა პასუხისმგებლობა „მთლიან დარღვევაში“ მონაწილეობისათვის, რადგან არსებობდა მათი მონაწილეობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები.

ასეთ პირობებში, კომისიამ პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარისად მიიჩნია დარღვევის ფარგლების განსაზღვრა (ანუ იმის დადგენა, თუ რომელ შეთანხმებებსა და შეთანხმებულ ქმედებებს მოიცავდა დარღვევა). მწარმოებლებმა ეს გაასაჩივრეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ დარღვევისთვის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდათ მხოლოდ მაშინ, თუ დადგინდებოდა მათი მონაწილეობა დარღვევის თითოეულ ზემოხსენებულ ელემენტში.

➤ **სამართლებრივი ანალიზი**

სასამართლომ პირველ რიგში განმარტა, რომ „მთლიან დარღვევაში“ მონაწილეობის დადგენა არ გულისხმობდა კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამით უბრალოდ იმის ხაზგასმა ხდებოდა, რომ დარღვევა შედგებოდა რამდენიმე ელემენტისაგან - შეთანხმებებისა და შეთანხმებული ქმედებებისაგან. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, ის უნდა დადგენილიყო ინდივიდუალურად. დარღვევის რამდენიმე ელემენტისაგან შედგენის ფაქტი დასტურდებოდა საქმის მასალებიდან. შესაბამისად, შეუძლებელი იყო ცალ-ცაკლე დადგენილიყო პასუხისმგებლობა მის კონკრეტულ ელემენტებში მონაწილეობისათვის.

სასამართლომ მიუთითა, რომ ეკონომიკურ აგენტს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა „მთლიან დარღვევაში“ მონაწილეობისათვის, თუნდაც ის მხოლოდ დარღვევის რამდენიმე ელემენტში მონაწილეობდეს უშუალოდ. ამისთვის უნდა დადგინდეს, რომ მან იცოდა (ან უნდა სცოდნოდა), რომ ის ელემენტები, რომლებშიც უშუალოდ მონაწილეობდა, ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის უფრო დიდი გეგმის ნაწილები იყო.

➤ **შედეგი**

ეკონომიკურ აგენტებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „მთლიან დარღვევაში“ მონაწილეობისათვის. ჯარიმები განისაზღვრა მონაწილეობის ხარისხის პროპორციულად.



## ბ. პასუხისმგებლობის ჩარჩოები - შემაჯამებელი განმარტება

როგორც პრაქტიკიდან ჩანს, პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისათვის, მნიშვნელობა არ აქვს, მოქმედებს თუ არა დარღვევაში მონაწილე სუბიექტი იმ ბაზარზე, რომელზეც იგეგმება კონკურენციის შეზღუდვა.

პასუხისმგებლობის სიმძიმე განისაზღვრება დარღვევაში მონაწილეობის ინტენსივობის პროპორციულად. მაგალითად, ყურადღება ექცევა, თუ დარღვევის რამდენ ელემენტში ფიქსირდება კონკრეტული დამრღვევი სუბიექტის მონაწილეობა.

*კონკურენციის სამართალი ასევე იცნობს კომპლექსურ დარღვევებს, რომლებიც ერთი გეგმის ფარგლებში განხორციელებული ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან შედგება.*

*ასეთი სიტუაციების არსებობისას, „მთლიან დარღვევაში“ მონაწილეობა დგინდება დარღვევის მხოლოდ ერთეულ ელემენტებში მონაწილეობის შემთხვევაშიც, თუ სახეზეა სუბიექტის მიერ კომპლექსურ დარღვევაში მონაწილეობის გაცნობიერების ფაქტი ან გაცნობიერების ობიექტური შესაძლებლობა.*

ამავდროულად, პასუხისმგებლობის ნაკლები სიმძიმე არ ნიშნავს პასუხისმგებლობის დაუკისრებლობას. დარღვევაში მონაწილეობის გამო პასუხისმგებლობა შეიძლება დადგინდეს პასიური მონაწილეობის ან მცირე როლის თამაშისათვისაც კი.

აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა დარღვევისგან საჯარო გამიჯვნა. გამიჯვნის მომენტიდან პასუხისმგებლობა წყდება, ხოლო თუ გამიჯვნა დარღვევის საწყის ეტაპზევე მოხდა, პასუხისმგებლობა შესაძლოა საერთოდ არ წარმოიშვას.

## 3. კონკურენციის საწინააღმდეგოობა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

როგორც კანონის მე-7 მუხლის, ისე TFEU 101-ე მუხლის დარღვევის დასადგენად, საჭიროა სახეზე იყოს კონკურენციის დარღვევის - შეზღუდვის, დაუშვებლობის ან/და აკძალვის ფაქტი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დარღვევასა და ზემოაღნიშნული მუხლების სუბიექტების მიერ განხორციელებულ ქმედებებს შორის. კერძოდ, სახეზე უნდა იყოს კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი ან შედეგი.

### 3.1. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი

#### ა. პრობლემატიკა და ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

პრაქტიკაში, კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონე ქმედებების გამოვლენისას, დაზუსტებას საჭიროებს რამდენიმე საკითხი, რომლებიც, ერთი მხრივ, ეხება ხსენებული მიზნის არსს, ფარგლებსა და შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მეორე მხრივ, მიმართებას კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანსა და შედეგს შორის.

#### **განმარტებას საჭიროებს, სულ მცირე, შემდეგი საკითხები:**

- რა შემთხვევებში ითვლება, რომ ქმედებას გააჩნია კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი?
- რა სახის დარღვევებისას შეიძლება გამოვლინდეს აღნიშნული მიზანი?
- რა კრიტერიუმების საფუძველზე ფასდება კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის არსებობის ფაქტი?
- ხსენებული მიზნის დადგენის პროცესში, რამდენად მნიშვნელოვანია სავარაუდო დარღვევაში მონაწილე სუბიექტთა მიზნები?
- რატომაა კანონმდებლობაში გამიჯნული კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი და შედეგი?

ჩამოთვლილ შეკითხვებზე პასუხი მოცემულია ქვემოთ აღწერილ გადაწყვეტილებებში.

---

#### *გაერთიანებული საქმეები 56 & 58/64; Consten S.à.R.L. and Grundig-Verkaufs-GmbH v Commission*

---

#### ➤ **ფაქტობრივი გარემოებები**

1957 წელს, აუდიო-ვიდეო ტექნიკის მწარმოებელ გერმანულ კომპანია Grundig-სა და ფრანგულ კომპანია Consten-ს შორის გაფორმდა დისტრიბუციის ხელშეკრულება, რომლითაც Grundig-მა იკისრა კონკურენციის შემზუდველი რამდენიმე ვალდებულება, კერძოდ: 1) საფრანგეთში საკუთარი პროდუქტების პარალელური იმპორტის ამკრძალავი ზომების გატარება; 2) Consten-ისთვის საკუთარი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის საფრანგეთის



ტერიტორიაზე ექსკლუზიური გამოყენების უფლების მინიჭება, რითაც ამ უკანასკნელის ყველა კონკურენტს ესპობოდა Grundig-ის პროდუქციის ლეგალურად გაყიდვის საშუალება.

ევროკომისიამ ორივე კომპანია TFEU 101-ე მუხლის დამრღვევად მიიჩნია, რადგან მისი მოსაზრებით, ზემოთ აღწერილ დისტრიბუციის ხელშეკრულებას ჰქონდა კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი. კომპანიებმა კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სასამართლოში, რადგან თვლიდნენ, რომ კომისია არასწორად მოიქცა, როდესაც არ შეაფასა განსახილველი ხელშეკრულების რეალური შედეგები შესაბამის ბაზარზე.

#### ➤ *სამართლებრივი ანალიზი*


სასამართლომ განმარტა, რომ თუ აშკარაა ხელშეკრულების კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი, მარეგულირებელს აღარ ეკისრება მისი ეკონომიკური შედეგების შეფასების ვალდებულება. ამავდროულად, აღინიშნა, რომ ხელშეკრულების მიზნის დადგენისას მხედველობაში მიიღება ორი კომპონენტი: ხელშეკრულების შინაარსი და ის სამართლებრივი/ეკონომიკური გარემო, რომელშიც მოხდა მისი გაფორმება.

სასამართლომ შეაფასა ხსენებული ორი კომპონენტი სადავო ხელშეკრულებასთან მიმართებით და დაასკვნა, რომ მწარმოებლის მიერ პარალელური იმპორტის აკრძალვა და დისტრიბუტორისათვის საფრანგეთში საკუთარი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების მიცემა, ემსახურებოდა მისთვის კონკურენტების ჩამოშორების მიზანს, რაც აშკარად კონკურენციის საწინააღმდეგო იყო.

საბოლოოდ, სასამართლომ ხაზი გაუსვა ორ გარემოებას: 1) არ შეიძლება მხარეს მიეცეს სასაქონლო ნიშნის იმ მიზნით გამოყენების უფლება, რომელიც კონკურენციის საწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული; 2) თუ სახეზეა მსგავსი მიზანი, ხელშეკრულების სავარაუდო დადებითი შედეგები მხედველობაში აღარ მიიღება - ხელშეკრულება იმთავითვე მიიჩნევა TFEU 101-ე მუხლის საწინააღმდეგოდ.

#### ➤ *შედეგი*

სასამართლომ დაადასტურა, რომ Grundig-სა და Consten-ს შორის გაფორმებული ექსკლუზიური დისტრიბუციის ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა TFEU 101-ე მუხლს, რადგან იწვევდა კონკრეტულ პროდუქტზე წვდომის შეზღუდვას კონკურენტებისათვის.

 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61964CJ0056>

---

## *სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები*

---

#### ➤ *საქმე C-209/07; Competition Authority v Beef Industry Development Society*

- *კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის დადგენის კრიტერიუმები; განსხვავება კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანსა და შედეგს შორის*



ირლანდიაში, ძროხის ხორცის გადაჭარბებული წარმოების გამო ბაზარზე შექმნილი კრიზისული სიტუაციის განმუხტვის მიზნით, მწარმოებელი კომპანიები შეთანხმდნენ წარმოების მოცულობის ერთდროულად შეზღუდვაზე. უზენაესმა სასამართლომ მიმართა CJEU-ს და სთხოვა განმარტა, რამდენად ითვლებოდა აღნიშნული ხელშეკრულება კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონედ.

სასამართლომ განმარტა, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის დადგენისას, ყურადღება უნდა მიქცეოდა სადავო შეთანხმების დებულებების ფორმულირებებსა და შეთანხმების მიზნებს. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი სახეზე იყო მაშინაც, როდესაც ის ხელშეკრულების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა და დანარჩენი მიზნები (მაგ. შესაბამის ბაზარზე არსებული კრიტიკული სიტუაციის განმუხტვა) აბსოლუტურად ლეგიტიმური იყო.

შეთანხმების კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი ასევე გაიმიჯნა შეთანხმების მხარეთა კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნებისაგან. სასამართლომ მიუთითა, რომ ამ უკანასკნელებს შესაძლოა მიზნად სულაც არ ჰქონდეთ კონკურენციის შეზღუდვა, მაგრამ TFEU 101-ე მუხლის დარღვევა მაინც დადგინდება, თუ შესაბამისი შეთანხმების დებულებების ფორმულირებიდან აღნიშნული მიზანი იკითხება.

საბოლოოდ, სასამართლომ განმარტა განსხვავება კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნისა და შედეგის მქონე შეთანხმებებს შორის. ეს განსხვავება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი შეთანხმება (მაგ. ფასების/კვოტების ფიქსირება, წარმოების შეზღუდვა), მათი ბუნებიდან გამომდინარე, ავტომატურად მიიჩნევა საბაზრო კონკურენციის დამაზიანებლად. მსგავსი შეთანხმებების არსებობისას, მათი შედეგების შემოწმება საჭირო აღარაა.

 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62007CC0209>

➤ *საქმე C-8/08; T-Mobile Netherlands and Others*

- *შეთანხმებული ქმედება და კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი; ინფორმაციის გაცვლა, როგორც მსგავსი მიზნის ერთ-ერთი გამოხატულება*

აღნიშნულ საქმეში, CJEU-ს ეთხოვა განმარტება იმის თაობაზე, შესაძლოა თუ არა შეთანხმებულ ქმედებას გააჩნდეს კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის/შედეგის დადგენის კრიტერიუმები თანაბრად ვრცელდება TFEU 101-ე მუხლში ჩამოთვლილი ქმედებების სამივე კატეგორიაზე - ხელშეკრულებებზე, გადაწყვეტილებებსა და შეთანხმებულ ქმედებებზე.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ შეთანხმებულ ქმედებას აქვს კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი, თუ ის ფლობს კონკურენციის შეზღუდვის პოტენციალს. ეს ნიშნავს, რომ შეთანხმებული ქმედება, მისი განხორციელების სამართლებრივი და ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, უნდა ქმნიდეს კონკურენციის შეზღუდვის, დაუშვებლობის ან/და აკრძალვის შესაძლებლობას.

საქმეში განხილულ კიდევ ერთ საკითხს წარმოადგენდა შეთანხმებული ქმედების კონკრეტული სახეობის - კონკურენტებს შორის ინფორმაციის გაცვლის - დაკვალიფიცირება კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონე ქმედებად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მსგავსი

ქმედება ქმნის კონკურენტთა ქცევის უკეთ განჭვრეტის შესაძლებლობას, ამცირებს კონკურენტთა რისკებს და შესაბამისად, კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მატარებელია.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=ecli:ECLI:EU:C:2009:343>

## ბ. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი - შემაჯამებელი განმარტება

ქმედებას აქვს კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი, თუ მასში იკვეთება კონკურენციის შეზღუდვის, დაუშვებლობის ან/და აკრძალვის პოტენციალი. თუმცა, ხსენებული მიზნის დადგენისას, ყურადღება არ ექცევა ამ პოტენციალის პრაქტიკაში განხორციელების ფაქტს.

*თავად კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის არსებობის ფაქტი დგინდება აღნიშნული მიზნის შემცველი შეთანხმების დებულებების ანალიზის საფუძველზე.*

*მიზანი შეიძლება იკვეთებოდეს როგორც ერთი ან რამდენიმე დებულებიდან, ისე ყველა დებულების ერთობლიობიდან. ასეთ დროს, დებულებები უნდა გაანალიზდეს იმ სამართლებრივ /ეკონომიკურ კონტექსტში, რომელშიც მოხდა კონკრეტული შეთანხმების მიღწევა.*

კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი შეიძლება გააჩნდეს როგორც ხელშეკრულებას, ისე გადაწყვეტილებასა და შეთანხმებულ ქმედებას. ხსენებული მიზანი სახეზეა, თუ მხარეთა ქცევა (მაგ. ინფორმაციის გაცვლა) ქმნის კონკურენტთა ქცევის უკეთ განჭვრეტის შესაძლებლობას და ამცირებს კონკურენციის გაწევის რისკს.

კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი უნდა გააჩნდეს უშუალოდ მხარეთა ქმედებას (ხელშეკრულებას, გადაწყვეტილებას, შეთანხმებულ ქმედებას). ქმედებების განმახორციელებელ პირთა მიზნები მხედველობაში არ მიიღება, ისევე როგორც ქმედებების დამატებითი მიზნები, რომლებიც შეიძლება კანონსაწინააღმდეგო სულაც არ იყოს.

საბოლოოდ, კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნისა და შედეგის გამიჯვნა ემსახურება რამდენიმე პრაქტიკულ მიზანს. კერძოდ:

- კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის არსებობა თავისთავად უკვე დარღვევის დადგენის საფუძველია, მაშინაც კი, როდესაც ქმედება პრაქტიკაში არ განხორციელებულა და არ მოჰყოლია კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი;
- ხდება იმის აღიარება, რომ ქმედებათა გარკვეული ჯგუფი (მაგ. ფასების/კვოტების ფიქსირება და ინფორმაციის გაცვლა) ყოველთვის შეიცავს კონკურენციის შეზღუდვის პოტენციალს;

- შესაბამისად, თუ მსგავსი ქმედებები სახეზეა, სახეზეა კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანიც და დარღვევის დასადასტურებლად საჭირო აღარ ხდება კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგებზე მსჯელობა.

## 3.2. კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი

### ა. პრობლემატიკა და ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

კონკურენციის შემზღვეველი მიზნისაგან განსხვავებით, კონკურენციის შემზღვეველი შედეგის დადგენას სჭირდება გაცილებით უფრო რთული ეკონომიკური ანალიზი, რომლის სწორად ჩასატარებლადაც საჭიროა რიგი საკითხების ცოდნა. ხსენებული საკითხები, ერთი მხრივ, ეხება კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის რაობას, ხოლო მეორე მხრივ - მისი დადგენის პროცედურასა და კრიტერიუმებს.

#### *კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის დასადგენად, ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს:*

- როდისაა საჭირო კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის დადგენა?
- რასთან მიმართებით დგინდება კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი?
- რა კრიტერიუმების საფუძველზე ფასდება კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის არსებობის ფაქტი?

ჩამოთვლილ საკითხებზე ევროკომისიასა და სასამართლოს შესაბამისი განმარტებების გაკეთება მოუხდათ ქვემოთ აღწერილ გადაწყვეტილებებში.

---

### *საქმე 56/65; Société Technique Minière v Maschinenbau Ulm GmbH*

---

#### ➤ *ფაქტობრივი გარემოებები*

პარიზის სააპელაციო სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის გამოყენებით მიმართა CJEU-ს და სთხოვა განემარტა, ვრცელდებოდა თუ არა TFEU 101-ე მუხლი ექსკლუზიური დისტრიბუციის სპეციფიკურ პირობებიან ხელშეკრულებაზე.

ხსენებული ხელშეკრულება, გაფორმებული გერმანელ მწარმოებელ Maschinenbau Ulm GmbH-სა (შემდგომში - „M.U.G”) და მის ფრანგ ექსკლუზიურ დისტრიბუტორს, Société Technique Minière-ს (შემდგომში - “S.T.M”) შორის, არ კრძალავდა S.T.M-ს მიერ პროდუქციის

რეალიზაციას საფრანგეთს გარეთ, სხვა დისტრიბუტორების მიერ ამავე პროდუქტის საფრანგეთში გაყიდვას და ზოგადად, პარალელულ იმპორტს.

განსახილველ საკითხთაგან ერთ-ერთს წარმოადგენდა ზემოთ აღწერილი ხელშეკრულების ბუნება. კერძოდ, სასამართლოს უნდა ემსჯელა, სახეზე ხომ არ იყო მასში კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი ან შედეგი.

#### ➤ *სამართლებრივი ანალიზი*

სასამართლომ პირველ რიგში აღნიშნა, რომ TFEU 101-ე მუხლი ვრცელდებოდა მხოლოდ ისეთ შეთანხმებებზე, რომელთა მიზანი/შედეგი იყო ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. ამავდროულად, TFEU 101-ე მუხლის ჩანაწერში „მიზანი ან შედეგი“ გამოყენებული „ან“ კავშირი გულისხმობდა, რომ დარღვევის დასადგენად საკმარისი იყო ერთ-ერთი მათგანის არსებობაც.

ასევე, განიმარტა, რომ ჩანაწერი „მიზანი ან შედეგი“ გულისხმობდა, რომ ჯერ უნდა შემოწმებულიყო ხელშეკრულების ზუსტი მიზანი, იმ ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც უნდა მომხდარიყო მისი იმპლემენტაცია. მსგავსი მიზანი შესაძლებელია გამოხატული ყოფილიყო როგორც ხელშეკრულების ცალკეულ დებულებებში, ისე გამოვლენილიყო მთლიანი ხელშეკრულების ერთობლიობაში წაკითხვა-გაგების შედეგად.

ამავდროულად, სადაც ხელშეკრულების ანალიზის შედეგად არ ვლინდებოდა კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი, უნდა შეფასებულიყო ხელშეკრულების შედეგები, შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის, დაუშვებლობისა ან/და აკრძალვის კუთხით. ასეთ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა მიღებულიყო სადავო ხელშეკრულების პრაქტიკაში გატარებამდე ბაზარზე არსებული კონკურენცია. ხელშეკრულების პრაქტიკაში გატარების რეალური შედეგის განსაზღვრისათვის, ყურადღება უნდა მიქცეოდა იმ ბაზრის თავისებურებებს, რომელსაც ეხებოდა ხელშეკრულება. კერძოდ, მხედველობაში იყო მისაღები ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პროდუქტის ბუნება და რაოდენობა, ხელშეკრულების მხარეთა პოზიცია ბაზარზე, ხელშეკრულების დებულებების სიმკაცრე და ა.შ.

ზემოაღნიშნულთაგან ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა დისტრიბუციის ხელშეკრულების სხვა მსგავს ხელშეკრულებებთან კავშირის ხარისხი და ბუნება. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების საბაზრო შედეგი შესაძლოა განსხვავებული ყოფილიყო იმის მიხედვით, ეს ხელშეკრულება იყო ერთადერთი, თუ ის ანალოგიურ ხელშეკრულებათა ჯგუფის ნაწილს წარმოადგენდა.

#### ➤ *შედეგი*

სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ხელშეკრულების შინაარსიდან არ იკვეთებოდა კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი, ხოლო მისი ბუნებიდან და საბაზრო რეალობიდან გამომდინარე, მის იმპლემენტაციას არ მოჰყვებოდა კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-56/65>

---

## სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები

---

➤ *საქმე 23/67; SA Brasserie de Haecht v Consorts Wilkin-Janssen*

- კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის დადგენა დისტრიბუციის მსგავსი ხელშეკრულებების მოცულობითი ჯგუფის არსებობისას

ბელგიამ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის გამოყენებით მიმართა CJEU-ს და სთხოვა განემარტა, როგორ უნდა შეფასებულიყო დისტრიბუციის ხელშეკრულებების მოცულობითი ჯგუფის შემადგენელი ერთ-ერთი ხელშეკრულების სავარაუდო კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი - განცალკევებულად, თუ როგორც ხსენებული ხელშეკრულებების ჯგუფის განუყოფელი ნაწილი.

სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების შედეგების შეფასება უნდა მომხდარიყო იმ სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს გათვლისწინებით, რომელშიც ხდებოდა მისი დადება. შესაბამისად, თუ განსახილველი ხელშეკრულება მსგავსი ხელშეკრულებათა ჯგუფის ნაწილი იყო, ლოგიკური იყო მათი ერთიანობაში განხილვა, სავარაუდო კონკურენციის საწინააღმდეგო აშკარა ან სავარაუდო შედეგის არსებობის კუთხით.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61967CJ0023>

➤ *საქმე C-234/89; Stergios Delimitis v Henninger Bräu AG*

- კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის დადგენისას მხედველობაში მისაღები ფაქტორები

საქმე ეხებოდა ფრანკფურტის სასამართლოს მიერ განხილვადი სპეციფიკური ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელიც გაფორმებული იყო ლუდის ჩამომსხმელ კომპანიებსა და მათ დისტრიბუტორებს შორის. სასამართლოს უნდა შეეფასებინა აღნიშნული ხელშეკრულებების TFEU 101-ე მუხლთან თავსებადობა, კერძოდ კი კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი, რადგან სახეზე არ იყო კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი.

სასამართლომ პირველ რიგში განმარტა, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი უნდა დადგენილიყო იმ ბაზართან მიმართებით, რომელზეც ხდებოდა ხელშეკრულების პრაქტიკაში გატარება. ამისთვის კი საჭირო იყო შესაბამისი ბაზრის სწორად განსაზღვრა.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შედეგების შეფასება უნდა მომხდარიყო იმ ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელსაც ეხებოდა სადავო ხელშეკრულებები. კერძოდ, უნდა შეფასებულიყო ხელშეკრულებათა ჯგუფის პრაქტიკაში დანერგვის კუმულატიური შედეგი შესაბამისი ბაზრის კომპონენტებზე - საბაზრო ბარიერებზე, შეთავაზებული პროდუქციის მრავალფეროვნებაზე, საბაზრო წილების ცვლაზე და სხვ.

საბოლოოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთმანეთის მსგავსი ხელშეკრულებების ჯგუფის არსებობა ავტომატურად არ გულისხმობდა კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგს,



არამედ წარმოადგენდა ხელშეკრულებების შედეგების შეფასებისას მხედველობაში მისაღებ ერთ-ერთ ფაქტორს. უნდა შეფასებულიყო კიდევ ორი ფაქტორი: ხელშეკრულების ზეგავლენა ბაზარზე შესვლის პირობებზე და ბაზარზე უკვე არსებულ კონკურენციაზე.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61989CJ0234>

## ბ. კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი - შემაჯამებელი განმარტება

გამომდინარე იქიდან, რომ კონკურენციის შემზღვეველი მიზანი და შედეგი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ალტერნატიული სახეებია, დარღვევის დასადგენად საჭიროა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის არსებობის ფაქტის დადასტურება. პრაქტიკაში, ჯერ ყოველთვის მოწმდება კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის არსებობა, ხოლო შედეგის შემოწმება ხდება მხოლოდ ხსენებული მიზნის არარსებობის შემთხვევაში.

კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის დადგენა ყოველთვის ხდება იმ შესაბამის ბაზართან მიმართებით, რომელზეც მიმართულია აღნიშნული შედეგის მომტანი ქმედება. შესაბამისად, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი ბაზრის სწორად განსაზღვრას - სწორედ ამ ბაზარზე ქმედების განხორციელებამდე და განხორციელების შემდგომი სიტუაციების შედარებით დგინდება, თუ რამდენადაა სახეზე ხსენებული შედეგი.

*უშუალოდ შედეგის განსაზღვრისას კი, მხედველობაში მიიღება როგორც ქმედების პრაქტიკაში განხორციელების სამართლებრივი/ეკონომიკური ასპექტები, ისე ქმედების (აშკარა თუ მოსალოდნელი) ზეგავლენა ბაზარზე არსებულ სიტუაციასა და პოტენციურ კონკურენციაზე.*

საბოლოოდ, გარკვეულ სიტუაციებში, ბაზარზე შესაძლოა არსებობდეს მსგავსი შეთანხმებების საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლებიც ცალ-ცალკე შესაძლოა პრობლემას არ წარმოადგენდეს საბაზრო კონკურენციისათვის, მაგრამ ერთობლიობაში პრობლემას უქმნიდნენ მას. ასეთ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს არა განცალკევებული შეთანხმებები, არამედ მათი კუმულატიური საბაზრო ეფექტი.

## II. „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების“ კატეგორიები

კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები დაყოფილია რამდენიმე ფართო კატეგორიად, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს შეთანხმებების ფართო სპექტრს.



### **კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების კატეგორიები:**

- ფასებისა და სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირება (მათ შორის, ტენდერებში შეთანხმებული პირობებით მონაწილეობა);
- წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების, ინვესტიციების შეზღუდვა;
- ბაზრების/მიწოდების წყაროების გადანაწილება;
- იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება;
- გარიგების მხარისათვის გარიგების საგანთან არადაკავშირებული ვალდებულებების დაკისრება.

ევროკავშირში, თითოეულ აღნიშნულ კატეგორიასთან მიმართებით განვითარებულია შესაბამისი პრაქტიკა, რომლის ძირითადი ასპექტებიც გადმოცემულია ქვემოთ.

## **1. ფასებისა და სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირება**

ევროკავშირის პრაქტიკაში, აღნიშნული დარღვევის ყველაზე ცნობილი მაგალითები კონკურენტებს შორის ფასების პირდაპირი/არაპირდაპირი შეთანხმება და ტენდერებში შეთანხმებული პირობებით მონაწილეობაა. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებებად განიხილება, თუმცა პრაქტიკაში არსებობს მათი შედეგების გაანალიზებისა და გამონაკლისის სახით გამართლების შემთხვევებიც.

### **ა. ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა**

- *საქმე 246/86; BELASCO SC v Commission*
  - *ფასების ფიქსირების გამართლების მცდელობა ქვეყნის შიგნით არსებული რეგულაციებით*

BELASCO-წარმოადგენს ბელგიაში გადასახური მასალის მწარმოებელი კომპანიების ასოციაციას, რომლის წევრებიც კომისიის მიერ დაჯარიმდნენ მინიმალური სარეალიზაციო ფასის ფიქსირებასთან და ერთობლივად ზრდასთან დაკავშირებულ შეთანხმებაში მონაწილეობის გამო, რაც დასტურდებოდა მათ მიერ ფასთა საერთო სიის შემუშავებითა და მუდმივი განახლებით.

კომპანიები უთითებდნენ, რომ ხსენებული სია შეადგინეს ბელგიის მთავრობის რეკომენდაციით, რათა მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, შედარებით მარტივად მომხდარიყო ფასთა ზრდის შესაბამისი ავტორიზებული ორგანოსთვის შეტყობინება და

შესაბამისი თანხმობის მიღება, ვიდრე თითოეული მათგანის მიერ ფასთა სიის ინდივიდუალურად გადაცემის შემთხვევაში.

თუმცა, კომისიამ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დაასკვნა, რომ მწარმოებლები ამ სიას არა მარტო აღნიშნულ ორგანოში წარსადგენად, არამედ ფასების ერთობლივად გაზრდის ხელსაყრელი მომენტის შესარჩევად და ფასდაკლებებთან დაკავშირებული ერთობლივი პოლიტიკის შესამუშავებლად იყენებდნენ. შესაბამისად, სახეზე იყო მათი მხრიდან TFEU 101-ე მუხლის დარღვევა.

 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61986CJ0246>

➤ *ევროკომისიის საქმე IV/27.958 National Sulphuric Acid Association*

- *შესყიდვის ფასის ფიქსირების ანალიზი კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის კუთხით*

საქმე ეხებოდა ბრიტანეთში მოქმედ ასოციაციას, რომელსაც წესდება ანიჭებდა საკუთარი წევრების სახელით გოგირდმჟავას შესყიდვებთან დაკავშირებული მოლაპარაკების წარმოებისა და აღნიშნული პროდუქტის შეძენის უფლებას. შედეგად, მართალია, ხდებოდა გოგირდმჟავას დიდი მოცულობით (და დიდი ფასდაკლებით) შესყიდვა, მაგრამ ასოციაციის წევრებს წართმეული ჰქონდათ შესყიდვის ფასზე დამოუკიდებლად ვაჭრობის უფლება.

ევროკომისიამ აღნიშნა, რომ აღწერილი სიტუაცია იწვევდა ასოციაციის წევრებს შორის შესყიდვის ფასთან დაკავშირებულ კონკურენციის სრულ მოსპობას, რაზეც თავად ეს ეკონომიკური აგენტები იყვნენ შეთანხმებულნი (ასოციაციის წესდებაზე ხელმოწერის გზით).


თუმცა, კომისიამ ისიც მიუთითა, რომ გოგირდმჟავას შესყიდვის მსგავს მოდელს ჰქონდა დადებითი მხარეებიც. კერძოდ, ასოციაციის წევრებს საჭირო დროს გარანტირებული ჰქონდათ გოგირდმჟავას ოპტიმალური რაოდენობა, რომელსაც ეს უკანასკნელნი სხვა პროდუქტების წარმოებაში იყენებდნენ. შესაბამისად, შეთანხმება გამონაკლისის სახით ჩაითვალა TFEU 101-ე მუხლთან თავსებადად.

 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31980D0917>

➤ *საქმე T-25/95 Cimenteries CBR and others v Commission*

- *ფასებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა, როგორც კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონე შეთანხმება*

საქმე ეხებოდა ევროკავშირში მოქმედ ცემენტის მწარმოებელ 42 კომპანიასა და მათ ასოციაციებს, რომლებიც ერთმანეთში სისტემატიურად ცვლიდნენ ინფორმაციას ცემენტის არსებული და მოსალოდნელი ფასების შესახებ. სასამართლომ ინფორმაციის მსგავსი გაცვლა კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონე შეთანხმებად მიიჩნია, რადგან ის ემსახურებოდა მხარეთა მიერ დამოუკიდებელი საფასო პოლიტიკის გატარების შეზღუდვას.

 <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-25/95&language=en>

➤ **საქმე T-35/92; John Deere Ltd v Commission**

- *სენსიტიური (თუმცა ფასთან არადაკავშირებული) სავაჭრო ინფორმაციის გაცვლა, როგორც პირობების შეთანხმების არაპირდაპირი სახე*

საქმე ეხებოდა საინფორმაციო სისტემას, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების მწარმოებლებსა და იმპორტიორებს შორის სენსიტიური სავაჭრო ინფორმაციის გაცვლა. ამ სისტემაში, ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა მწარმოებელს და იმპორტიორს შეეძლო გაყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა. ევროკომისიამ აღნიშნული სქემა TFEU 101-ე მუხლის დარღვევად მიიჩნია.

სასამართლომ განმარტა, რომ მართალია გაცვლილი ინფორმაცია არ მოიცავდა ფასებს, მაგრამ გაცვლის სიხშირიდან და დეტალურობიდან გამომდინარე, ის საკმაოდ კარგ წარმოდგენას უქმნიდა კონკურენტებს ერთმანეთის გაყიდვების ოდენობაზე. თანაც, გაცვლას ექვემდებარებოდა იმდენად სენსიტიური ინფორმაცია, რომ იკრძალებოდა მისი მესამე პირებზე გავრცელება. შესაბამისად, სქემა ეწინააღმდეგებოდა TFEU 101-ე მუხლს.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61992TJ0035>

➤ **საქმე 243/83; SA Binon & Cie v SA Agence et Messageries de la Presse**

- *სარეალიზაციო ფასის ფიქსირება, როგორც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება და მისი გამამართლებელი გარემოებები*

საქმე ეხებოდა ბელგიის საგაზეთო და პერიოდული გამოცემების ბაზარზე მოქმედ შერჩევით სადისტრიბუციო სისტემას, რომლის ფარგლებშიც დისტრიბუტორს ჰქონდა საცალო გამყიდველებისათვის ფასების დადგენის უფლებამოსილება, ხოლო ამ უკანასკნელებს აღნიშნული ფასების გათვალისწინების ვალდებულება. წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში, CJEU-ს ეთხოვა განმარტება მსგავსი სისტემის კანონიერებაზე.

სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადად მსგავსი წესით ფასების ფიქსირება წარმოადგენდა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას და ეწინააღმდეგებოდა TFEU 101-ე მუხლს. ამავდროულად, სადავო პრაქტიკა შესაძლოა გამონაკლისის წესით გამართლებულიყო, გაზეთების ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ. დისტრიბუტორს ჰქონდა გაუყიდველი ეგზემპლარების უკან მიღების ვალდებულება).



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61983CJ0243>

➤ **ევროკომისიის საქმე IV/35.691/E-4: - Pre-Insulated Pipe Cartel**

- *სატენდერო პირობების შეთანხმება და პირობების დაცვის მონიტორინგის გზები*

საქმე ეხებოდა წინასწარ თბოიზოლირებული მილსადენების ბაზარზე მოქმედ კომპანიებს, რომლებმაც შეიმუშავეს ტენდერებში წინასწარ შეთანხმებული პირობებით მონაწილეობის მთელი სისტემა, რომელიც შემდეგი ელემენტებისაგან შედგებოდა:

- სატენდერო პროცედურებში შეთანხმების მხარეები იმგვარად მონაწილეობდნენ, რომ გამარჯვებული გამოსულიყო მათ მიერ წინასწარ შერჩეული პირი. ამ დროს, დანარჩენები ან უარს ამბობდნენ სატენდერო პროცედურაში მონაწილეობაზე, ან განზრახ აწესებდნენ მაღალ ფასს;
- პროცესის საკონტროლოდ, მუშავდებოდა სპეციალური სია, რომელშიც მხარეებს ენიჭებოდათ „სავარაუდო გამარჯვებულის“ სტატუსი, თუ დროის კონკრეტული მონაკვეთის განმავლობაში მათი „ჯერი“ იყო, „გაემარჯვათ“ ამა თუ იმ ტენდერში;
- მასიური ტენდერებისას, მხარეები წინასწარ თანხმდებოდნენ, რომ გამარჯვებული ქვეხელშეკრულებების გაფორმების გზით გაუზიარებდა დანარჩენებს სატენდერო სამუშაოებს და ანაზღაურებას;
- მხარეები გარკვეული პერიოდულობით უზიარებდნენ ერთმანეთს მათ მიერ ტენდერებში გამარჯვებისა და მიღებული ანაზღაურების სტატისტიკას, რათა უზრუნველყოთ მოგების თანაბრად გადანაწილება. ხდებოდა მიმდინარე ტენდერებში მონაწილეობისა და შეთავაზებული ფასების გაზიარებაც;
- დაფუძნებული იყო მონიტორინგის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა „ურჩ“ მხარეებთან დაკონტაქტება და დისციპლინირება.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, კომისიამ დაასკვნა, რომ აშკარა იყო შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მიზანი. ბაზარზე მოქმედი 9 კომპანია და ერთი ჰოლდინგი (6 ურთიერთდაკავშირებული პირი) დაჯარიმდა TFEU 101-ე მუხლის დარღვევისათვის.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31999D0060&from=EN>

## **ბ. ფასებისა და სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირება - შემაჯამებელი განმარტება**

ზოგადად, ფასებისა და სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირება ითვლება კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებად. აღნიშნული ეხება როგორც მათ პირდაპირ, ისე არაპირდაპირ ფიქსირებას, რაც შეიძლება გამოიხატოს შესაბამისი ინფორმაციის გაცვლაშიც. ამავდროულად, ევროკავშირში, ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებში აღნიშნული დარღვევის გამონაკლისის სახით გამართლება.

*ერთ-ერთი გამამართლებელი არგუმენტი შეიძლება იყოს ფასების/სხვა სავაჭრო პირობების ფიქსირების ქმედებების განპირობებულობა შესაბამისი ეროვნული რეგულაციებით. ამავდროულად, უნდა დასტურდებოდეს ისიც, რომ მხარეთა ქმედება არ გასცდენია აღნიშნული რეგულაციების შესრულებისათვის სავალდებულო მოთხოვნებს (იხ. საქმე 246/86; BELASCO SC v Commission).*

აღსანიშნავია, რომ ფასის ფიქსირება შესაძლოა მოხდეს როგორც ჰორიზონტალურ ურთიერთობებში (კონკურენტებს შორის), ისე ვერტიკალური ხელშეკრულებების დროსაც (სარეალიზაციო ფასის ფიქსირება). დარღვევად ითვლება ორივე შემთხვევა.

ხაზგასასმელია ისიც, რომ გამონაკლისების კუთხით, ევროკავშირში არსებული ზოგადი საგამონაკლისო ნორმისგან (TFEU 101-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი) განსხვავებით, საქართველოში, გამონაკლისები დარეგულირებულია სპეციალური კანონქვემდებარე აქტით - საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის N526 დადგენილებით „კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“.

შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ სადავო ხელშეკრულება ჩავარდება ზემოთ ხსენებული დადგენილების ერთ-ერთ გამონაკლისში.

## 2. წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების, ინვესტიციების შეზღუდვა

პრაქტიკაში წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინვესტიციების შეზღუდვა, როგორც წესი, იწვევს არსებულ პროდუქტზე/გეოგრაფიულ არეალში ფასების ზრდას, რაც ხელსაყრელია ეკონომიკური აგენტებისთვის, თუმცა აზარალებს მომხმარებელს. შესაბამისად, მსგავსი შეზღუდვა დარღვევის ერთ-ერთ სერიოზულ სახედაა მიჩნეული.

აღნიშნულ საკითხზე ევროკომისიისა და CJEU-ს მიდგომა გადმოცემულია ქვემოთ.

### ა. ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

#### ➤ საქმე C-209/07; *Competition Authority v Beef Industry Development Society*

##### ○ წარმოების შეზღუდვა კრიზისულ სიტუაციებში

საქმე ეხებოდა ირლანდიაში ძროხის ხორცის მწარმოებელი კომპანიების მიერ წარმოების 25%-ით შეზღუდვას, რასაც მწარმოებლები ბაზარზე პროდუქტის ჭარბი მიწოდებითა და



მოთხოვნის ნაკლებობით ხსნიდნენ. CJEU-ს ეთხოვა განემარტა, რომ აღნიშნულ შეთანხმებას ჰქონდა კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი - ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება უნდა დარეგულირებულიყო ჯანსაღი კონკურენციის პირობებში და არა მხარეთა შეთანხმებით.

სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა მიერ აღწერილი ე.წ. კრიზისული სიტუაცია (ჭარბი მიწოდება და ნაკლები მოთხოვნა) ვერ გაამართლებდა ბაზარზე წარმოების შეზღუდვას. კონკურენციის წესებს უნდა ემოქმედა კრიზისულ პირობებშიც.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62007CC0209>

➤ *ევროკომისიის საქმე COMP/39.437 — TV and computer monitor tubes*

- *შეზღუდვის მონიტორინგის მექანიზმი; შეზღუდვა როგორც ერთიანი დარღვევის შემადგენელი ნაწილი*

საქმე ეხებოდა ტელევიზორებისა და კომპიუტერების მონიტორების ბაზარზე არსებულ კომპლექსურ შეთანხმებას, რომელიც ერთდროულად შეიცავდა ფასების ფიქსირების, ბაზრების განაწილებისა და წარმოების შეზღუდვის ელემენტებს. საქმის მასალების მიხედვით, მხარეები რეგულარულად ახდენდნენ წარმოების შეზღუდვის გეგმების შეთანხმებას და ერთმანეთს წარუდგენდნენ გეგმების შესრულების ანგარიშებს.

ევროკომისიამ ფასების ფიქსირება, ბაზრების განაწილება და წარმოების შეზღუდვა კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონე ერთიან დარღვევად მიიჩნია, რადგან ისინი წარმოადგენდნენ მხარეთა შორის არსებული უწყვეტი ურთიერთობის რამდენიმე გამოხატულებას. ამავდროულად, კომისიამ ცალ-ცალკე დაასაბუთა თითოეული ელემენტის (მათ შორის, წარმოების შეზღუდვის) არსებობა. მან წარმოების შეზღუდვის ერთ-ერთ დამამტკიცებელ ელემენტად ამ შეზღუდვის მონიტორინგის მექანიზმის არსებობა მიიჩნია.



[http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec\\_docs/39437/39437\\_6784\\_3.pdf](http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec_docs/39437/39437_6784_3.pdf)

**ბ. წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინვესტიციების შეზღუდვა - შემაჯამებელი განმარტება**

ჩამოთვლილი შეზღუდვები კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონეა და აკრძალულია იმისდა მიუხედავად, რომ მისი გაფორმებისას, შეთანხმების მხარეები შესაძლოა ჰქონდეთ სხვა, კანონშესაბამისი მიზნებიც (მაგ. კრიზისული სიტუაციების მართვა).

*შეზღუდვები შესაძლოა წარმოადგენდეს ერთიანი, კომპლექსური დარღვევის ნაწილსაც. ამავდროულად, ეს არ გამორიცხავს მათი არსებობის განცალკევებულად დასაბუთების ვალდებულებას.*



შეზღუდვის დამადასტურებელ მტკიცებულებად შეიძლება იქცეს აღნიშნული შეზღუდვის მონიტორინგის მექანიზმის არსებობისა და მისი პრაქტიკაში გატარების ფაქტიც.

### 3. ბაზრების/მიწოდების წყაროების გადანაწილება

ფასების ფიქსირებასა და წარმოების შეზღუდვასთან ერთად, ბაზრების გადანაწილება კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა. ამავდროულად, პრაქტიკაში მან შეიძლება მიიღოს მრავალი განსხვავებული სახე და შესაბამისად, საჭირო გახდეს განსხვავებული მტკიცებულებების მოპოვება მისი არსებობის დასასაბუთებლად. ევროკავშირის მიდგომა ამ შეზღუდვისადმი გადმოცემულია ქვემოთ.

#### ა. ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

- *საქმე კომისიის გადაწყვეტილება IV/30.907; Peroxygen Products*
  - *ბაზრების გადანაწილება ტერიტორიული ნიშნით*

საქმე ეხებოდა წყალბადის ზეჟანგის ბაზარზე მოქმედი რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ, მათ შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე, ბაზრების გადანაწილებას ტერიტორიული ნიშნით, ქვეყნების მიხედვით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თითოეული ქვეყნის ბაზარზე გაიყიდებოდა მხოლოდ ამ ქვეყანაში ნაწარმოები პროდუქცია. ევროკომისიამ აღნიშნული შეთანხმება TFEU 101-ე მუხლის დარღვევად მიიჩნია.

კომისიამ საკუთარ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მსგავსი ტერიტორიული ნიშნით განაწილება განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა პროდუქტის ფასებზე, რომლებიც ხელოვნურად და რადიკალურად განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით.

აქედან გამომდინარე, გაზიარებული არ იქნა მხარეთა არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ბაზრების გეოგრაფიული განაწილება თავად ბაზრის თავისებურებებიდან გამომდინარეობდა. კომისიამ მიუთითა, რომ მსგავსი განაწილება და ფასების განსხვავება განპირობებული იყო ბაზარზე ხანგრძლივად არსებული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით, რომელიც გამორიცხავდა კონკურენციას გეოგრაფიული თვალსაზრისით.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31985D0074>

- *საქმე 41/69; ACF Chemiefarma NV v Commission*
  - *ბაზრის გადანაწილება ჯენტლმენური შეთანხმების საფუძველზე; ექსპორტის კვოტები*

აღნიშნულ საქმეში, მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის ბაზარზე მონაწილე ეკონომიკურმა აგენტებმა ჯენტლმენური შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრეს ექსპორტის კვოტები და დაადგინეს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებდა (კვოტის გადაცილების შემთხვევაში) შეთანხმების დანარჩენი მხარეებისათვის კომპენსაციის გადახდას. მხარეებმა გადაინაწილეს ეროვნული ბაზრებიც.

სასამართლომ მიუთითა, რომ გეოგრაფიული ნიშნით ბაზრის ნებისმიერ განაწილებას ახასიათებს კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი. შედეგად, ჯენტლმენური შეთანხმების საფუძველზე კონკურენციის შეზღუდვა ჩაითვალა TFEU 101-ე მუხლის დარღვევად.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61969CJ0041>

- *ევროკომისიის საქმე COMP/E-2/37.978; Methylglucamine*
  - *ბაზრების განაწილება კლიენტების მიხედვით*

საქმე ეხებოდა ორი მწარმოებლის მიერ გლობალური ბაზრის გაყოფას სულ მცირე 1990-1999 წლების პერიოდში, მაშინ როდესაც ბაზარზე ფაქტიურად არ არსებობდა სხვა მოთამაშე. პროდუქტი წარმოადგენდა განცალკევებულ ბაზარს, რადგან განსახილველ პერიოდში, გამოყენების კონკრეტულ სახეებში (მაგ. რენტგენში გამოყენებისას) ამ უკანასკნელის ჩამნაცვლებელი არ არსებობდა.

ბაზრის გაყოფა ხდებოდა კლიენტების განაწილების საფუძველზე. ბაზრის სწორად გაყოფისთვის, მხარეები ადგენდნენ კლიენტების სიას და იყოფდნენ მნიშვნელოვან/მსხვილ კლიენტებს. კომისიამ კლიენტების მიხედვით ბაზრის განაწილება ბაზრის განაწილების ერთ-ერთ სახედ მიიჩნია და ორივე მწარმოებელს დაუდგინა TFEU 101-ე მუხლის დარღვევა.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32004D0104>

## **ბ. ბაზრების/მიწოდების წყაროების განაწილება - შემაჯამებელი განმარტება**

ბაზრების/მიწოდების წყაროების განაწილებამ შეიძლება მიიღოს მრავალი სახე - განაწილება გეოგრაფიული ნიშნით (მაგალითად, ეროვნული ბაზრების განაწილება), განაწილება კლიენტების მიხედვით, კვოტირება და სხვა. ნებისმიერი მსგავსი შემთხვევა მოხვდება TFEU 101-ე მუხლის რეგულირების სფეროში, როგორც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება.

*ბაზრების განაწილების ფაქტის დადგენისას, ასევე უმნიშვნელოა აღნიშნული განაწილების ფაქტის შემცველი შეთანხმების ფორმაც - მაგალითად, განაწილება შეიძლება მოხდეს ჯენტლმენური შეთანხმების საფუძველზეც.*

მსგავსად წარმოების შეზღუდვისა, ბაზრების განაწილების დამადასტურებელ დამატებით მტკიცებულებად ასევე გამოიყენება მონიტორინგის მექანიზმის არსებობა. აღნიშნული მექანიზმი შეიძლება მოიცავდეს კომპენსაციის ელემენტსაც იმ შემთხვევებისათვის, როდესაც შეთანხმების ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ბაზრის განაწილების შეთანხმებულ წესს (მაგ. გადააჭარბებს კვოტას).

#### 4. იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება

ევროკავშირის პრაქტიკაში, იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება ყველაზე ხშირად ვერტიკალურ შეთანხმებებში გვხვდება. სტანდარტულად, მწარმოებლები, მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, ცდილობენ ბაზრის პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდებით დაყოფას. ამ ქცევას მივყავართ დისკრიმინაციულ ტრანზაქციებამდე, რომელიც ზღუდავს კონკურენციას.

##### ა. ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

###### ➤ *საქმე 31/85; ETA Fabriques d'Ebauches v SA DK Investment and others*

- *საგარანტიო პირობები, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახე*

საათების მწარმოებელი შვეიცარიული კომპანია ETA პროდუქციის რეალიზაციას ახდენდა ექსკლუზიური დისტრიბუტორების მეშვეობით. საათებს მოჰყვებოდა გარანტია. დისტრიბუციის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო პროდუქტის გაყიდვისას გასაცემი გარანტიის ტერიტორიული ხასიათი. კერძოდ, საერთაშორისო ქსელის არსებობის მიუხედავად, კონკრეტულ ქვეყანაში ნაყიდი საათისათვის საგარანტიო მომსახურების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ ამავე ქვეყანაში. შედეგად, პარალელური იმპორტიორების მიერ გაყიდული საათების მფლობელები ვერ სარგებლობდნენ საგარანტიო მომსახურებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი პირობის ამოქმედებით ხდებოდა პარალელური იმპორტიორების დისკრიმინაციულ პირობებში ჩაყენება და პარალელური იმპორტის არაპირდაპირი შეზღუდვა. შესაბამისად, დადგინდა TFEU 101-ე მუხლის დარღვევა.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/BG/ALL/?uri=CELEX:61985CJ0031>

###### ➤ *საქმე T-168/01; GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission*

- *პარალელური იმპორტი და ფასისმიერი დისკრიმინაცია*

საქმე ეხებოდა ფარმაცევტული კომპანია GlaxoSmithKline Services Unlimited-ის (შემდგომში - „GKS“) მიერ საკუთარი დისტრიბუტორებისათვის დაწესებულ სპეციფიკურ ფასისმიერ პოლიტიკას. კერძოდ, ესპანეთში, GKS-სა და მის დისტრიბუტორებს შორის

შეთანხმებული იყო ორი (A და B) საფასო გეგმა ერთსა და იმავე დასახელების პროდუქტებზე. A გეგმა გამოიყენებოდა ეროვნული გაყიდვებისას, ხოლო B გეგმა - პარალელური იმპორტისას.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მსგავსი ქმედებით ხდებოდა ფასებზე არასასურველი ზემოქმედება და მომხმარებლების დაზარალება, რადგან ეს უკანასკნელები წამლის განსხვავებულ ფასს იხდიდნენ იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობდნენ. შესაბამისად, ფასისმიერი დისკრიმინაცია პარალელური იმპორტისას კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის მქონედ ჩაითვალა.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62001TJ0168&qid=1505474147657&from=EN>

## ბ. იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება - შემაჯამებელი განმარტება

პრაქტიკიდან გამომდინარე, იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება შეიძლება წარმოადგენდეს ბაზრების დაყოფის არაპირდაპირ მცდელობას (მაგ. ETA-სთან დაკავშირებული ზემოთ აღწერილი საქმე), ემსახურებოდეს მწარმოებლის სპეციფიკური საფასო პოლიტიკის გატარებას ან ჰქონდეს სხვა მიზანი.

*ნებისმიერ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაცია კონკურენციის შეზღუდვად მიიჩნევა, თუ სახეზე იქნება კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი - მაგ: კონკურენტულ ბაზარზე არსებული ეკონომიკური აგენტებისა და მომხმარებლების არათანაბარ პირობებში ჩაყენება.*

## 5. გარიგების მხარისათვის გარიგების საგანთან კავშირის არ მქონე ვალდებულებების დაკისრება

პრაქტიკაში, შეთანხმება, რომელიც კონკურენციას ზღუდავს, შეიძლება შედგებოდეს მრავალი ურთიერთდაკავშირებული დებულებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში, შეთანხმება შეიძლება არ შეიცავდეს კონკურენციის შემზღუდველ დებულებებს უშუალოდ პროდუქტის ფასთან, სავაჭრო პირობებთან ან პროდუქტთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან მიმართებით. თუმცა კონკურენცია შეიძლება იზღუდებოდეს სხვა დებულებებითაც.

## ა. ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკა

### ➤ საქმე *T-65/98; Van den Bergh Foods Ltd v Commission*

- გარიგების საგანთან არადაკავშირებული პირობის კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგის შეფასების წესი

Van den Bergh Foods-ი ნაყინის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც საკუთარ დისტრიბუტორებს ნაყინთან ერთად აძლევდა აღნიშნული ნაყინის შესანახ მაცივრებს ერთი პირობით - ამ მაცივარში უნდა შენახულიყო მხოლოდ მისი პროდუქცია. ამავდროულად, დისტრიბუტორებს არ ეკრძალებოდათ სხვა მწარმოებლებისაგან მიწოდებული ნაყინის გაყიდვა და მათი მაცივრების დაინსტალირება.

სასამართლომ შეაფასა სადავო პირობის (მაცივარი მხოლოდ კონკრეტული პროდუქციის განსათავსებლად) ზეგავლენა საბაზრო კონკურენციაზე, განსახილველი ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი ფაქტები:

- სანაყინე მაცივრის დამონტაჟებისა და მუშობის განუწყვეტელი უზრუნველყოფის სიმძირის გამო და ასევე, ფართის სიმცირიდან გამომდინარე, დისტრიბუტორებისათვის არარენტაბელური იყო ერთზე მეტი მაცივრის ქონა;
- Van den Bergh Foods-ის ნაყინის პოპულარულობიდან გამომდინარე, დისტრიბუტორები უპრობლემოდ თანხმდებოდნენ მაცივართან დაკავშირებულ შეთავაზებას, რაც ფაქტობრივად გამორიცხავდა მათ მიერ სხვა კონკურენტების მიერ მიწოდებული ნაყინის რეალიზაციას;
- თეორიულად, დისტრიბუტორებს შეეძლოთ Van den Bergh Foods-თან დისტრიბუციის ხელშეკრულების გაწყვეტა და შემდგომ მისი კონკურენტების პროდუქციის გასაღება. პრაქტიკაში ეს თითქმის არასდროს ხდებოდა.

ბაზრის ზემოთ განხილული სპეციფიკის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო პირობის დაწესებას ჰქონდა კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი და დაადგინა TFEU 101-ე მუხლის დარღვევა.



<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-65/98>

### ➤ საქმე *42/84; Remia BV and others v Commission*

- შეთანხმება კონკურენციის გაუწევლობაზე

საქმე ეხებოდა საბავშვო საკვების ბაზარზე დადებულ გარიგებას, რომლითაც ერთ-ერთმა მწარმოებელმა ორი შვილობილი კომპანია გაყიდა. სხვა საკითხთა შორის, გარიგებით დგინდებოდა მწარმოებლის მხრიდან მყიდველებისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკურენციის გაუწევლობის ვალდებულება, რათა ამ უკანასკნელებს ხელი არ შეშლოდათ შესაბამის ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე, მსგავს შეთანხმებას ნამდვილად ჰქონდა დადებითი მხარეები. კერძოდ, მისი გაფორმების გარეშე, გამოცდილი და ყოფილი



შვილობილი კომპანიების საქმიანობაში კარგად გარკვეული მწარმოებელი ძლიერ კონკურენციას გაუწევდა ბაზარზე ახლად შემოსულ კონკურენტს. ამას კი შესაძლოა ამ უკანასკნელის ბაზრიდან გასვლა მოჰყოლოდა.

ამავდროულად, სასამართლომ მიუთითა, რომ მსგავსი შეთანხმება კანონიერი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ შეთანხმების ვადა და მოქმედების სფერო არ გასცდებოდა იმ მინიმუმს, რაც საჭირო იყო შვილობილ კომპანიებთან დაკავშირებული ტრანზაქციის ხელშეწყობისათვის.

საქმის გარემოების ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში შეთანხმება აღნიშნულ მინიმუმს სცდებოდა. კერძოდ, შეთანხმება ითვალისწინებდა კონკურენციის გაუწევლობის ხანგრძლივ (5 წელზე მეტ) პერიოდს, რაც ობიექტურად იმაზე გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ბაზარზე დამკვიდრებისათვის საჭირო დრო. შესაბამისად, შეთანხმებას ჰქონდა კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი.



<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?isOldUri=true&uri=CELEX:61984CJ0042>

## **ბ. გარიგების მხარისათვის გარიგების საგანთან კავშირის არ მქონე ვალდებულებების დაკისრება - შემაჯამებელი განმარტება**

გარიგების საგანთან კავშირის არ მქონე ვალდებულებების დაკისრების ზეგავლენა კონკურენციაზე უნდა შეფასდეს ყველა კონკრეტულ საქმეზე ცალ-ცალკე, შესაბამისი ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამ დროს, კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი შესაძლოა გამოიხატოს როგორც კონკრეტული კონკურენტების შეზღუდვაში, ისე კონკურენტებისათვის ბაზრის მთლიანად გადაკეტვაში.

კონკურენციის გაუწევლობის შეთანხმებას შესაძლებელია ჰქონდეს ბაზარზე კონკურენციის ხელშემწყობი შედეგებიც (მაგალითად, ახალი კონკურენტის დამკვიდრება). ასეთ დროს, მსგავსი შეთანხმების გაფორმება დასაშვებია გარკვეული პირობებით. კერძოდ:

*კონკურენციის გაუწევლობის შეთანხმების ვადა და მოქმედების სფერო არ უნდა გასცილდეს იმ მინიმუმს, რაც საჭირო იყო კონკურენციის ხელშემწყობი შედეგების დადგომისათვის.*



გზამკვლევი წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის რიგი ნორმების სარეკომენდაციო განმარტებას და არ გააჩნია სავალდებულო იურიდიული ძალა. გზამკვლევის შინაარსსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის დებულებები.

საქართველოს კონკურენციის სააგენტო უფლებას იტოვებს, კონკრეტული საქმეების სპეციფიკიდან გამომდინარე, გზამკვლევაში მოცემულისგან განსხვავებულად განმარტოს ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიერ განხორციელებული ქმედება/ქმედებები.



საქართველოს კონკურენციის სააგენტო  
მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის 154  
ტელ: (032) 2440 770 (21-74)  
ელ-ფოსტა: [info-gca@competition.ge](mailto:info-gca@competition.ge)  
ვებ-გვერდი [www.competition.ge](http://www.competition.ge)